პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 182 (19324) ◆ ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე მოისმინა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის ანგარიში „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის მუშაობის თაობაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც აღნიშნა, რომ პარტიის რაიკომი ძირითადად უზრუნველყოფს ორგანიზაციულ - პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის აღმოფხვრისათვის მუშაობა რაიონში ჯერჯერობით საკმაოდ თანამიმდევრული და მიზანმიმართული ხასიათისა არ არის. ზოგიერთი პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია, შრომითი კოლექტივი აქტიურ შეტევით პოზიციებს არ ადგას ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სპირტიანი სასმელების მოხმარების შემცირების პირობებში არ არის უზრუნველყოფილი მოსახლეობისათვის ახალ საზეობათა მომსახურების გასაწევად ვაჭრობის ობიექტების მუშაობის დროული გა...

...დამაკმაყოფილებელი მუშაობის საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მწვავე, პრინციპული შეფასება მისცა საქმის ვითარებას სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში, დასახა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკურ სამმართველოში წარმოების მეცნიერულ-ტექნიკური დონისა და კულტურის ამაღლების და სოციალურ საკითხთა გადაწყვეტის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით განისაზღვრა კასპის რაიონის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენ...

...ნისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების რეალიზაციისათვის.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

განიხილა რა საცალო საქონელბრუნვის 1985 წლის გეგმის შესრულებისათვის გაწეული არა...

...ფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინადადებანი სახალხო განათლების მუშაკთა აგვისტოს კონფერენციებისა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა პედაგოგიური კონფერენციების მოწყობის შესახებ.

...თა გაიზარდოს მათი როლი მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ აღზრდაში, გადაიჭრას პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული, სამეურნეო მუშაობის სრულყოფის აქტუალური ამოცანები; გაზეთების საქმიანობა წარიმარ...

...საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით რესპუბლიკის მრეწველობის მიერ სასაქონლო პროდუქციის...

...ნსპორტით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე მიიღეს გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებზეც.

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

ვიმუშაოთ ინიციატივიანად, გამოვიჩინოთ თაოსნობა!

ერთსულოვნად

კოლექტივში ერთსულოვნება წარმატებებს ამრავლებს. ჩვენი საწარმოს ყველა ცვლა, ბრიგადა, საამქრო სწორედ ასე შრომობს. ყოველთვიურად რიტმულად სრულდება დავალებები. წლის განვლილ პერიოდში პროდუქციის ზრდის ტემპმა 5,2 პროცენტი შეადგინა, რეალიზაციისამ — 10,3 პროცენტი, სულ უფრო იზრდება მოთხოვნა ჩვენს პროდუქციაზე, ზეთიან საღებავებზე, ბროლზე... ეს კი დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს.

ჩვენი კოლექტივი ყოველთვის ერთი პირველთაგანი უჭერს მხარს ინიციატივას, თაოსნობას, ახალს. ამჯერად ერთსულოვნად დავირაზმეთ ლოზუნგით: სკკპ XXVII ყრილობას — 27 დამკვრელური შრომითი დეკადა! ყოველ საამქროში, უბანზე დაისახა...

ე. ბუზაძე, ...

საკვები—85: როცა წარმატებას ნაკლიც ახლავს

ერთხანს ყვარლელი საკვებმომპოვებლები ჩამორჩებოდნენ, მაგრამ ახლა საკვებწარმოებაზე ყოველდღე 500-600 კაცია დასაქმებული. რაიონის საკვებმომპოვებლებმა ტექნოლოგიური პროცესების სრული დაცვით დროულად დააბინავეს 7 ათას ტონამდე სენაჟი, გეგმა კი 5 ათას ტონას ითვალისწინებს. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების და დაბინავების პარალელურად რაიონში საგეგმო 2.200 ტონის ნაცვლად დაწნეხეს და გამოზიდეს 3000 ტონამდე ნამჯა. ახლა მთელი ყურადღება თივისა და სილოსის დამზადების ტემპის დაჩქარებაზეა გადატანილი, რადგან ამ საქმეში შარშანდელთან შედარებით ჩამორჩენაა.

წელს ყვარლელებმა 3.700 ტონა თივა უნდა დაამზადონ. დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ამ საქმეში მდგომარეობა სახარბიელო ვერ არის. ამ ბოლო დღეებში თივის დამზადების ტემპი მოწინავე მეურნეობებში დაჩქარდა, რაც საქმეს სასიკეთოდ წაადგება.

სწრაფი ტემპით დაიწყო სილოსის დამზადებაც, საგეგმო 14.700 ტონა სილოსის დასამზად...

...ის სახელობის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლებმა. კოლმეურნეობის კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ლ. ნარიკლიშვილი ხელმძღვანელობს, უხეში საკვები 1070 ტონის ნაცვლად 1300 ტონა დაამზადა. სენაჟი 500 ტონის მაგივრად დააბინავა 1000 ტონა, 170 ტონის ნაცვლად დაწნეხა და ფერ...

...მებთან დაზვინა 300 ტონამდე ნამჯა, სწორედ გავაზელებმა დაიწყეს პირველებმა სილოსის დამზადება; მათ საგეგმო 1200 ტონიდან უკვე დამზადებული აქვთ 1.000 ტონამდე სილოსი.

პირუტყვისათვის საკვების დამზადება კარგი ტემპით მიდის შილდის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — კ. გელაძე, საკვებმო...

მაგრამ წარმატებას ნაკლიც ახლავს. ზოგან ჩამორჩენა წლობით გრძელდება. შარშან ახალსოფლის სანერგე საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებს ძალიან გაუჭირდებოდათ პირუტყვის გამოზამთრება, „ქინძმარაულის“ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას რომ არ გაემართა ხელი. ეს რა თქმა უნდა მწარე გაკვეთილად უნდა დარჩენოდათ ახალსოფლელებს (მეურნეობის დირექტორი ი. ონაშვილი) და წელს საკუთარი წარმოების საკვებით გამოზამთრებისათვის ეზრუნათ. მაგრამ სოფელში საკვების დამზადების დღევანდელი ტემპი საიმედო არ არის. მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ზურაბ არჩუაშვილმა გვითხრა: სენაჟის დამზადების საგეგმო დავალება შევასრულეთ, ჩავდეთ 600 ტონა სენაჟი, მაგრამ სხვა...

...ურნეობას ჰყავს (488 მსხვილფეხა, 2.327 ცხვარი და სხვა), მეტად მცირეა. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტების გაანგარიშებით თითოეულ სულ პირუტყვისათვის დამზადებული აქვთ 3 საკვები ერთეული, მეურნეობის სპეციალისტების გაანგარიშებით კი 8 საკვები ერთეული. შეუსაბამობაზე არაფერს ვამბობთ იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც მეტად მცირეა, რადგან ერთ სულ პირუტყვს სულ ცოტა 16 საკვებერთეული სჭირდება.

ახალსოფლის სანერგე საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანმა იზოლდა ჯოხაძემ თქვა, რომ მეურნეობისათვის მეცხოველეობა მეტად არარენტაბელურია, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ორმაგი და სამმაგი გვიჯდება. ერთი შეხედვით გულწრფელ აღიარებას ჰგავს, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელია. ასეც რომ იყოს, განა ხელი უნდა ჩაიქნიონ? 180 კომუნისტია პარტიულ ორგანიზაციაში, მართალია კრებაზე არაერთხელ აქვთ განხილული მეცხოველეობის საკითხი, მაგრამ იტყობა ფორმალურად უდგებიან ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას...

დ. მიქიაშვილი, „კომუნისტის“ საკ. კორ.

დატკბით სილამაზით:

კაქტუსი ყვავის

ა. ნანეიშვილის ფოტო.

გაფრთხილდით:

ხანძარი საშიში მტერია!

დოკუმენტების კრებული

ჩვენს დიად სამშობლოში

საკავშირო კორესპონდენტები გვატყობინებენ

სუზდალში

დიდი შემოსავალი კოლმეურნეობას საშუალებას აძლევს წარმატებით შეასრულოს სოციალური განვითარების გეგმა. ყოველწლიურად ცენტრალური კარმიდამოს და სოფლების შენებლობა-კეთილმოწყობაზე 2 მილიონ მანეთზე მეტი იხარჯება.

სურათზე: კოლმეურნეობის სასადილო ცენტრალურ კარმიდამოში.

ამინომჟავების გამოსამუშავებლად

ერევანი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მიკრობიოლოგიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს ერევნის ამინომჟავების სამეცნიერო-კვლევითი ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ამუშავებენ იმ დიდად გაწმენდილი პრეპარატების წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის.

მათი დანერგვა დიდძალ სახსრებს დაზოგავს. ინსტიტუტის ნამუშევრების მიზანია ბიოტექნოლოგიის, სოფლის მეურნეობის, კვების, ქიმიური და სამკურნალო მრეწველობის...

უდაბნოს მზე მუშაობს

სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის უდაბნოს მცხუნვარე მზის ენერგიის გამოყენების საკითხებზე მუშაობენ თურქმენეთის მეცნიერები. მათი რეკომენდაციით ყარაყუმში იქმნება ჰელიოკომპლექსები...



ჯანმრთელობის ელექსირი

დანიშვნა

ორი თვე ორბიტაზე

პარტიული ცხოვრება:
მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ორმაგი პასუხისმგებლობის შეგნებით

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ორმოცდაათზე მეტ გემს, რომლებიც მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავენ, დიდი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის ეკონომიკაში. საქართველოს საზღვაო სანაოსნო ჩვენი ქვეყნის სანაოსნოთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა, მიუხედავად ამისა, განვლილ პერიოდში მან ხუთჯერ დაიმსახურა სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. არ არის კვარტალი, სოციალისტურ შეჯიბრებაში რამდენიმე ხომალდი გამარჯვებული რომ არ გამოვიდეს.

მუშაობის თავისებურმა სპეციფიკამ, საბაზო ნავსადგურთან ტერიტორიულმა დაშორებამ განსაზღვრა ის, რომ ხომალდების პარტიულ ორგანიზაციებში უკვე ივლისის მეორე ნახევარში დაიწყო ანგარიშგება-არჩევნები.

როგორ იმუშავეს ეკიპაჟებმა საანგარიშო პერიოდში? როგორ ახორციელებენ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პერიოდში გამართული პლენუმების გადაწყვეტილებებს? როგორ ამთავრებენ ხუთწლედს და როგორ ხვდებიან პარტიის XXVII ყრილობას? აი საკითხები, რომლებზეც გაიშალა მსჯელობა წლის მთავარ პარტიულ კრებებზე.

ბევრ სიძნელესთან და სულიერ მღელვარებასთან არის დაკავშირებული მეზღვაურის ცხოვრება. ყოველ ადამიანს ზღვა რომანტიკულად ესახება. მაგრამ მუდამ ასე როდია. ზოგჯერ ისე იცის გახელება, რომ შეიძლება კატასტროფის წინაშე აღმოჩნდე. ასეთ დროს ახალბედა მეზღვაურს გვერდით უდგას გაბედული მეთაური, გამოცდილი მეგობარი, ნაწრთობი კომუნისტი, რომელიც პირადი მაგალითით ამხნევებს მას. გარდა ამისა, ჩვენი მეზღვაურების წინაშე დგას საპატიო და პასუხსაგები ამოცანა — უცხოეთშიც დაიცვან ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ავტორიტეტი.

თბომავალ „ანაკლიის" ეკიპაჟმა შარშან თავდადებული და ერთსულოვანი შრომით გამოიჩინა თავი და პირველი და მეორე კვარტალის შედეგებით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა, ვიმპელი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა. შემდეგ ეკიპაჟი თავისუფლების კუნძულზე გაემგზავრა, სადაც რამდენიმე თვე მოძმე კუბელებს შეელოდნენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვაგვარი ტვირთის გადაზიდვაში. მეზღვაურებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი ვალი. თითქმის ყოველ ნავსადგურში გემზე იღებდნენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აცნობდნენ მათ ჩვენი ქვეყნის წარმატებებს. იყვნენ შაქრის პლანტაციებსა და შაქრის გადასამუშავებელ ქარხანაში.

სამშობლოდან დაშორებულ ყოველ ადამიანს, მით უფრო მეზღვაურს, მოუხარია სამშობლოში. დავალება შესრულებული იყო და ნოემბერში „ანაკლიელებიც" ემზადებოდნენ გამოსამგზავრებლად. სწორედ ამ დროს კუბის მთავრობამ სთხოვა ეკიპაჟს ნახევარი წლით კიდევ დარჩენილიყვნენ თავისუფლების კუნძულზე. ეს საკითხი გახდა ხომალდის ღია პარტიული კრების მსჯელობის საგანი. მთელმა კოლექტივმა ერთსულოვნად გამოაცხადა თანხმობა გაეგრძელებინათ იქ ყოფნა.

გამომგზავრების წინ კუბელმა მოსწავლეებმა ქ. წულუკიძის მოსწავლეებისათვის მეზღვაურებს გამოატანეს კუბის დროშა, ფიდელ კასტროს მეგობრის ერნესტ ჩეგევარას სურათი და სუვენირები. ასე განმტკიცდა ინტერნაციონალური მეგობრობა ორ მოძმე ხალხს შორის.

ახლა, როცა ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვე გავიდა, ხომალდის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე განვლილი ამბები გადაიქცა სასიამოვნო მოგონებად. ამაზე ყურადღება გაამახვილა პარტიული ორგანიზაციის მდივანმა პ. ცინცაძემ, ხომალდის კაპიტანმა შ. შავაძემ, ელექტრო-მექანიკოსმა მ. დვალიშვილმა და სხვებმა.

მომხსენებელი თავის გამოსვლაში შეეხო ასეთ ფაქტსაც: ხომალდი საბაზო ნავსადგურს რამდენიმე ათასი კილომეტრით იყო დაშორებული. მიუხედავად ამისა, მათ ყოველდღიური რადიოკავშირი ჰქონდათ სანაოსნოს პარტიულ კომიტეტთან და იღებდნენ საჭირო დავალებებს. ეკიპაჟი საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებას მაღალი მაჩვენებლებით შეხვდა. წარმატებით დაამთავრეს თავისუფლების კუნძულზე ყოფნის პასუხსაგები პერიოდი, დაზოგეს დგომისა და ცურვის დრო, საკუთარი ძალებით შეასრულეს 15.100 კაცსაათი სარემონტო სამუშაოები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ეკიპაჟის სისხლსავსე ცხოვრებაზე ბევრი რამ ითქვა, მაგრამ უთქმელიც დარჩა. საერთო წარმატება შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის მეცადინეობით არის მიღწეული, კომუნისტების მაღალნაყოფიერი და ავანგარდული როლის შედეგია და მოხსენებაში სრულად არ გამოჩნდა ის აღმავალი და ეფექტიანი გზა, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციამ განვლო საანგარიშო პერიოდში. არ თქმულა, როგორ იყენებდნენ პარტიული მუშაობის ლენინური სტილის მდიდარ არსენალს. ყოველი კოლექტივი განსაკუთრებულ პატაკს უმზადებს პარტიის მოახლოებულ მორიგ ყრილობას. არც ის თქმულა, „ანაკლიელებმა" რა ვალდებულებანი იკისრეს, როგორი წარმატებებით დაამთავრებენ სამეურნეო წელს და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედს.

• • •

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია თბომავალ „გენერალ ლესელიძის" პარტიული ორგანიზაციის მდივნის გ. ველიაძის კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა მოხსენებამ.

— იმისათვის, რომ ადამიანს ვზრდიდეთ არა მარტო როგორც გარკვეული ცოდნის მატარებელს, —თქვა მდივანმა,—არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც კომუნიზმის აქტიურ მშენებელს მისთვის დამახასიათებელი მორალითა და ინტერესებით, პარტიული ორგანიზაცია იყენებს პარტიულ კრებებს როგორც აღზრდის კარგ სკოლას, პარტიული განათლების ქსელს როგორც ცოდნის გაღრმავების საშუალებას, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, ლექციურ პროპაგანდას, პირადი მაგალითის ძალას, კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებს და სხვა მრავალ ფორმას და მეთოდს პარტიული მუშაობის არსენალიდან.

კრებაზე ითქვა, რომ პარტიული ორგანიზაციის აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმული იყო ყველა კომუნისტი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალისტური შეჯიბრების მაღალ დონეზე მოწყობას, ნაკისრი ვალდებულებების უთუო შესრულებას. მოისმინეს კომუნისტ გ. კოჩაძის ანგარიში და დაამტკიცეს მისი პარტიული დახასიათება. ხაზგასმით აღნიშნეს როგორც მისი როლი საზოგადოებრივ საქმიანობაში, ასევე პირადი თვისებები. კომუნისტთა პასუხისმგებლობის გაზრდის, მათი გააქტიურების ეს ფორმა კვლავაც იქნება გამოყენებული.

12 წელია, რაც გემი სერავს ზღვებსა და ოკეანეებს. კრებაზე გემის კაპიტანმა ზ. პატარაძემ, კაპიტნის მეორე თანაშემწემ ა. გევორგიანმა, ელექტრომექანიკოსმა ვ. ვილკოვმა და სხვებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ არ ჰყოფნით სათადარიგო ნაწილები, რეისის წინ გემს ტექნიკურად კარგად არ ამარაგებენ. ამ პრობლემაზე შარშან გამართულ საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებაზეც გაამახვილეს ყურადღება, მაგრამ სანაოსნოს ტექნიკურმა სამსახურმა, როგორც ჩანს, საყვედურს ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმო.

საანგარიშო პერიოდში ხომალდმა შეასრულა 10 რეისი. გადაზიდა ასიათასობით ტონა ტვირთი, ხოლო გეგმის გადამეტებით 810 ტონა, დაზოგა 29 საათი დგომის დრო, 94 ტონა საწვავი, მიღებულია 74 ათასი მანეთი ეკონომია. თუმცა გათვალისწინებულ დროში არ შესრულდა ორი რეისის გეგმა.

• • •

კარგი ეკონომიკური მაჩვენებელი აქვს თბომავალ „ქუთაისის" ეკიპაჟს. როგორც პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ტ. ფერაძემ კრებას მოახსენა, რეისების უმრავლესობა წარმატებით შესრულდა. გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 1000 ტონა ტვირთი, დაზოგეს 216 ტონა საწვავი და 200 საათი სვლისა და დგომის დრო, საკუთარი ძალებით შეასრულეს 50 ათასი კაცსაათი სარემონტო სამუშაოები. „ქუთაისელები" გახდნენ ინიციატორები თაოსნობისა — ყოველ რეისს ახასიათებდეს მაქსიმალური ეფექტიანობა და სანიმუშო დისციპლინა. მას სანაოსნოს თითქმის ყველა ხომალდმა აუბა მხარი და დიდი ეკონომიკური ეფექტიც მოჰყვა. კომუნისტები, მექანიკოსები ა. სიხარულიძე, ა. იმნაძე, კაპიტნის მეორე თანაშემწე ო. ვარშანიძე და სხვები გამოირჩევიან შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით, თავდადების მაგალითს აძლევენ ეკიპაჟის სხვა წევრებს. 9 წელია გემზე არ მომხდარა ავარია ან ტრავმა, რაც წინასწარი პროფილაქტიკის შედეგია.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე შეეხნენ მთელ რიგ პრობლემატურ და მტკივნეულ საკითხებს, იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც პარტიული ორგანიზაციისა და მთელი კოლექტივის საქმიანობაში შეიმჩნევა. ითქვა, რომ პარტიული ორგანიზაცია იშვიათად განიხილავს ხოლმე კომუნისტთა ანგარიშებს, დისციპლინის საკითხებს, ინდივიდუალურად არ მუშაობს ეკიპაჟის ცალკეულ წევრებთან, ხშირია კადრების დენადობა. ერთი წლის მანძილზე ეკიპაჟში შეიცვალა 112 კაცი, რაც უარყოფითად მოქმედებს არა მარტო კოლექტივის განწყობილებაზე, ასევე გეგმების შესრულებაზე. იყო შემთხვევა, როცა გამოცდილი მეზღვაური და კარგი სპეციალისტი სამუშაოდ სხვა გემზე გადავიდა. ეს დამაფიქრებელი ფაქტი იმაზე ხომ არ მეტყველებს, რომ კოლექტივში არ არის ერთსულოვანი და მშვიდი ატმოსფერო, რაც ასე აუცილებელია სამშობლოდან მეტისმეტად დაშორებული და ბობოქარ სტიქიასთან შერკინებული მეზღვაურებისათვის?

კომუნისტებმა ერთსულოვნად დაგმეს ხომალდის ყოფილი ექიმის კ. გულანიანის მოქმედება, რომელიც შორეულ რეისში გასვლის წინ დათვრა და გამოსაფხიზლებელში მოხვდა. გულანიანი წინათაც ეტანებოდა სპირტიან სასმელებს, მაგრამ კოლექტივმა მასზე სასურველი გავლენა ვერ მოახდინა. იგი ლოთობამ იქამდე მიიყვანა, რომ ჩამორჩა ეკიპაჟს და გემი შორეულ რეისში უექიმოდ წავიდა. სანაოსნოს პარტიულმა კომიტეტმა მკაცრად იმსჯელა მომხდარი ფაქტის გამო და კ. გულანიანი პარტიის რიგებიდან გარიცხა.

კრებაზე გააკრიტიკეს სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომელსაც თითქმის არაფერი გაუკეთებია მთელი წლის განმავლობაში. მეზღვაურმა ა. კუკულავამ კი თქვა: მართალია, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ ვიყავი არჩეული, მაგრამ არ მესმოდა ჩემი მოვალეობა, ამიტომ არაფერი გამიკეთებიაო. შრომის დისციპლინის შესუსტების, კომუნისტთა ერთი ნაწილის მიერ მუდმივი და ერთდროული დავალებების შეუსრულებლობისათვის გააკრიტიკეს პარტიული ორგანიზაციის მდივანი, რომელიც არ იჩენდა საჭირო მომთხოვნელობას.

• • •

ზოგადი იყო თბომავალ „ნიკო ნიკოლაძის" პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილის ვ. შერბაკოვის საანგარიშო მოხსენება. მას ღრმად არ გაუანალიზებია გაწეული მუშაობა და ხომალდზე არსებული მდგომარეობა, არ შეხებია პრობლემებსა და მტკივნეულ საკითხებს. გემზე კი იყო საბაჟო წესებისა და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, მაგრამ ამის თაობაზე მომხსენებელს არაფერი უთქვამს. კარგია, რომ გემის კაპიტანმა ვ. თავბერიძემ, მოტორისტმა ვ. კუზნეცოვმა და სხვებმა შემდეგ ამ ფაქტზე პრინციპულად იმსჯელეს.

საერთოდ კი, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ხომალდების პარტიულ ორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კრებების ერთი ნაკლი. სჯა-ბაასი არ გაშლილა, თითქმის არც მოჰყოლიათ, თუ რა შენიშვნები გამოითქვა შარშანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რა გეგმები დაისახა, როგორ შესრულა პარტიულმა ორგანიზაციამ კრების მიერ შემუშავებული განაწესი. რა თქმა უნდა, ამ საკითხებს პარტორგანიზაციის მდივნები, კრებების ყველა მონაწილე საგანგებოდ უნდა შეხებოდნენ. საკუთარი დადგენილების შეუფასებლობა კომუნისტებს არ ეპატიებათ, ამიტომ ყველგან ამ მხრივ მკაცრი მომთხოვნელობა უნდა იყოს.

თხუთმეტამდე ხომალდის პარტიულ ორგანიზაციებში უკვე მოეწყო ანგარიშგება-არჩევნები. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, წელს პარტიული ორგანიზაციები კრებებისათვის უკეთ მოემზადნენ. კამათში კომუნისტთა უმრავლესობა გამოვიდა, ბჭობდნენ ისინი მეტად აქტუალურ საკითხებზე. ამასთან ერთად კრებებზე აშკარად გამოიკვეთა გადაუწყვეტელი პრობლემები. როგორც საერთო სჯა-ბაასიდან ჩანს, სანაოსნოს ტექნიკური სამსახური მთელი პასუხისმგებლობით არ ამზადებს ხომალდებს, ზოგიერთ გემზე სუსტია შრომის დისციპლინა. მეტი მოეთხოვებათ ხომალდების მეთაურებსა და პარტიული ორგანიზაციების მდივნებს. ისინი მეზღვაურებს უნდა უმსუბუქებდნენ სამშობლოსაგან შორს ყოფნას, ასწავლიდნენ სიძნელეებთან ბრძოლას.

სანაოსნოს გემების პარტიულ ორგანიზაციათა ანგარიშგება-არჩევნები ფლოტის ძალების თავისებური დათვალიერებაა. ახლანდელი კამპანია იმითაც არის განსაკუთრებული, რომ შრომითი კოლექტივები შემოქმედებითად იღწვიან მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა მთლიანად შესრულებისათვის, სურთ ახალი თვალსაჩინო მიღწევებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის XXVII ყრილობას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მოწინავეთა რიგებში

„საქვანახშირის" საწარმოო გაერთიანების ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა საბრძოლო ლოზუნგივით აღიქვა პარტიის მიერ დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კურსი. შახტში დანერგილი სიახლეები მათ საშუალებას აძლევს წლიურ ამოიღონ 300 ათასი ტონა ქვანახშირი. წლის განვლილ ექვს თვეში უკვე ამოღებულია თითქმის 151 ათასი ტონა ქვანახშირი. მაღაროელები განაგრძობენ შახტის ტექნიკურ განახლებას. მათ გადაწყვიტეს მისი წლიური მწარმოებლობა 400 ათას ტონამდე გაზარდონ.

გრაფიკის გასწრებით მუშაობს მამდიდრებელი ფაბრიკა, წლის დამდეგიდან გამომუშავებულია დაახლოებით 125 ათასი ტონა ენერგეტიკული კონცენტრატი. ეს დაგეგმილზე გაცილებით მეტია.

მაღალ მაჩვენებლებს აღწევს უბანი, სადაც ძირითადი წარმოების ოსტატია ნანა კიკვაძე, მამდიდრებლები სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დადგნენ და მაღალი მიჯნები დაისახეს.

წარჩინებული მაღაროელი ეტხიო სვანიძე კარგი ავტორიტეტით სარგებლობს მეშახტეებში. საწმენდი სანგრევის ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, არაერთხელ გამოიჩინა საგულისხმო თაოსნობა, მუშაობს გრაფიკის მნიშვნელოვანი გასწრებით.

ბრიგადა ყველასათვის სამაგალითოა. იგი პროგრესული მეთოდების გამოყენებით დიდ შრომის ნაყოფიერებას აღწევს. მან უკვე უზრუნველყო სამშობლოს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალების შესრულება. ახლა მის შრომის კალენდარზე 1987 წელია.

სურათებზე: ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მამდიდრებელი ფაბრიკის ძირითადი წარმოების ოსტატი ნანა კიკვაძე და საწმენდი სანგრევის მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი ეტხიო სვანიძე.

ზ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

მიზანი მოწინავეთა პოზიციებზე გასვლაა

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხებს დღეს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამისათვის დაიწყო სამეურნეო მართვის მექანიზმის სრულყოფის, ეკონომიკის სწრაფი და თვისებრივი ზრდის უზრუნველყოფის რეზერვების ამოქმედება.

ყველამ კარგად ვიცით, რომ სიახლეები, ხელშესახები ძვრები, გარდაქმნები და წარმატებები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაშია მოპოვებული, მიღწეულია მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების, მართვის მოხერხებული ფორმების ძიების წყალობით.

კარგი შედეგი მოჰყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე პერიოდულად გეგმების შესრულების შედეგების განხილვის პრაქტიკას, რაც ტრადიციად დამკვიდრდა რესპუბლიკაში. ყველა გრძნობს, რომ მიგნებულია მართვის კარგი ფორმა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გეგმებისა და დავალებების შესრულების მიმდინარეობის სისტემატური კონტროლისა და უშუალოდ შემსრულებელთა პასუხისმგებლობის გადიდებისათვის.

ჩვენი გაერთიანების საერთო საქმიანობა წლის განვლილ პერიოდში ურიგო როდია:

სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა 104,3 პროცენტით შევასრულეთ, 26.010 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 27.114 ათასი მანეთის პროდუქცია და ზრდის ტემპმა 116,7 პროცენტს გადაამეტა; გეგმით გათვალისწინებული იყო 37.174 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია, ფაქტიურად რეალიზებულია 39.570 ათასი მანეთისა, ანუ გეგმა 106,4 პროცენტით შესრულდა.

შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა 104,7 პროცენტით, თვითღირებულება კი 1,1 პროცენტით შემცირდა, მიღებულია 4.137 ათასი მანეთი მოგება დაგეგმილი 2.816 ათასი მანეთის ნაცვლად.

ბოლო წლებში სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულება გაერთიანების უმეტეს მეურნეობა-ქარხნებსა და საწარმოებში სტაბილურია.

საერთოდ გაერთიანებაში როგორც პროდუქციის წარმოების, ისე რეალიზაციის გეგმები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ობიექტური მიზეზებით გეგმის გადიდებას) სრულდება კორექტირების გარეშე. გეგმების კორექტირების პრაქტიკის აღკვეთის შესახებ საკმაოდ მწვავედ ითქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზეც.

მინსკში ყოფნის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: „1985 წლის გეგმა უნდა შესრულდეს და თანაც ყოველგვარი კორექტირების გარეშე, ასე დააყენა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმმა, ასე უნდა განხორციელდეს იგი საქმით".

ეს მითითება ყველასათვის სავალდებულოა და მას ყველა უნდა ასრულებდეს. მაგრამ ხშირად ვაწყდებით სიძნელეებს, რომელთა გადაწყვეტა მარტო ჩვენზე არ არის დამოკიდებული. შარშან გეგმის მიხედვით რესპუბლიკის დამზადების სამინისტროს ბაზებიდან 8 ათასი ტონა მზესუმზირა უნდა მიეღო გადასამუშავებლად ოჩამჩირის ზეთსახდელ ქარხანას, ფაქტობრივად მხოლოდ 3.000 ტონამდე მიიღეს.

არ შესრულდა ტუნგის ნაყოფის დამზადების გეგმა, 16.200 ტონის ნაცვლად ქობულეთის ტუნგის ქარხანას გადასამუშავებლად ჩაბარდა 8 ათას ტონამდე ნედლეული. მარტო ამ სახის ნედლეულის სიმცირის გამო საწარმოებმა წლის პირველ ნახევარში ვერ აწარმოვეს 3.600 ათასი მანეთის პროდუქცია.

დანაკლისის შესავსებად ნაწილობრივ სხვა საშუალება გამოინახა, რაც დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან, საჭირო გახდა მიგვემართა საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოებისათვის.

გაზაფხულის არახელსაყრელმა ამინდებმა საგრძნობი ზარალი მიაყენა ეთერზეთოვანი კულტურების პლანტაციებს, დაირღვა თესვისა და ჩითილების დარგვის აგროვადები. წყალდიდობისა და ხშირი წვიმების, ზოგან კი გვალვისა და სეტყვის შედეგად დაიღუპა ნარგავები, ზოგიერთ მეურნეობაში საგრძნობლად შემცირდა ფართობები, მაგრამ საჭირო ღონისძიებების განხორციელებით, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების აქტიური დახმარებით ჯერჯერობით ძირითადად შენარჩუნებულია მოსავალი, ორგანიზებულად მიმდინარეობს პლანტაციების მოსავლის გადამუშავება.

წელს გაერთიანებამ გეგმით უნდა დაამზადოს 26 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული, ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად კი საჭიროა 34 ათასი ტონა.

საყურადღებოა, რომ შარშან რესპუბლიკაში საგრძნობლად გაიზარდა მეტად ძვირფასი კულტურის რეჰანის წარმოება და 14.500 ტონაზე მეტი ნედლეული გადაამუშავეს ჩვენმა საწარმოებმა, ესე იგი დამზადდა იმდენი, რამდენიც დამზადებული იყო 1976 წელს, როცა ეთერზეთოვანი კულტურები სპეციალიზებული მეურნეობების გარდა კოლმეურნეობებშიც მოჰყავდათ. ეს ძირითადად იმის შედეგია, რომ ნედლეულის შესასყიდმა ფასმა საგრძნობლად მოიმატა.

მუშაობაში ვიყენებთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეკომენდაციებით ვახორციელებთ ღონისძიებებს საჭირო პროდუქციის წარმოების გადიდების ახალი გზების გამოსაძებნად. ამ მიზნით შარშან მოვაწყვეთ დაფნისა და ევკალიპტის პირველადი ზეთის მამდიდრებელი საამქრო; ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდია. ამასთან დაფნის ზეთიდან მიიღება დამატებითი ფრაქცია „ოსტალაკი", რომელსაც წინათ ვერ ვიყენებდით; წელს უკვე რეალიზებულია 1,7 ტონა ანუ 320 ათასი მანეთის დამატებითი პროდუქცია.

ასევე წელს პირველად მივიღეთ რეჰანის ზეთიდან ევგენოლის გამომუშავების შემდეგ ახალი ფრაქცია „გოლბაზილი", რომელსაც ადრე ვერ ვიყენებდით. ახლა კი აბაშის ეთერზეთების ქარხანამ მომხმარებელს უკვე მიჰყიდა 3.270 კილოგრამი, ანუ 500 ათასი მანეთის ამ სახის პროდუქცია.

ვარდის ნედლეულს (ფურცლებს) ახალი პროგრესული მეთოდით ვამუშავებთ, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ზეთის ხარისხი, იმატა პროდუქციის გამოსავლიანობამ, დაიზოგა ასობით ტონა სუფრის მარილი, შემცირდა თვითღირებულება და სხვა.

უკვე მესამე წელია ვიყენებთ საკონსერვო ქარხნების მიერ გადამუშავებული მანდარინის საწარმოო ნარჩენებს, რომელიც წინათ უქმად იყრებოდა; ახლა ამ მეორეული ნედლეულის გადამუშავებით მანდარინის ეთეროვან ზეთს ვიღებთ; ამ ზეთს წარმატებით იყენებენ კვების მრეწველობაში.

აქ ჩამოთვლილი და სხვა პროგრესული და წარმოებისათვის ხელსაყრელი მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს ნიკოლოზ იაკობაშვილს, ნუგზარ ბაღათურიას და გაერთიანების სპეციალისტებს.

მეტად სერიოზული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა იმ დონემდე ავიყვანოთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის წინა წლების დანაკლისი აგვენაზღაურთ, ამასთან წლევანდელი გეგმაც გადაჭარბებით შევასრულოთ. მეთერთმეტე ხუთწლედში გაერთიანების სამრეწველო საწარმოებმა უნდა გამოუშვან 247.200 ათასი მანეთის პროდუქცია, ოთხ წელიწად-ნახევარში გამოშვებულია 218.543 ათასი მანეთის პროდუქცია; დარჩენილ ექვს თვეში უნდა გამოვუშვათ 28.700 ათასი მანეთის მცენარეული და ეთერზეთოვანი ზეთები და სხვა სახის პროდუქცია.

მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა ვაწარმოოთ 248.200 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ანუ ერთი მილიონით მეტი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული და 47.600 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე მეათე ხუთწლედში იყო მთლიანად.

წელს საკმაოდ დაძაბულია რეალიზაციის გეგმა —69.660 ათასი მანეთი, ანუ 9.060 ათასი მანეთით მეტი ღირებულების სარეალიზაციო პროდუქცია, ვიდრე შარშან იყო.

ასევე საკმაოდ დიდია სხვა საგეგმო ეკონომიკური დავალებები, მაგრამ კარგად ორგანიზებული მუშაობით შესაძლებელია ყველა ამ დავალების შესრულება.

ნაკისრი ვალდებულებით წელს პროდუქციის თვითღირებულება 0,5 პროცენტით უნდა შეგვემცირებინა, ფაქტობრივად შემცირდა 1,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება კი ერთი პროცენტის ნაცვლად დაგეგმილთან შედარებით 2,8 პროცენტით გაიზარდა. ახლა ხორციელდება ღონისძიებანი, რათა წლის ბოლომდე შევინარჩუნოთ ეს ტემპი.

ეთერზეთოვანი კულტურების დამზადების ოთხი წლის გეგმა რესპუბლიკაში 100 ათას ტონას ითვალისწინებდა, ფაქტობრივად დამზადებულია 92 ათას ტონაზე მეტი. მართალია, მარნეულის, ლაგოდეხისა და ზოგიერთი სხვა რაიონის ეთერზეთების მეურნეობებს ოთხი წლის გეგმები დიდი გადაჭარბებით აქვთ შესრულებული, მაგრამ რესპუბლიკას მაინც საერთოდ, აკლია 8 ათასი ტონა. ეს იმიტომ, რომ ცალკეულმა რაიონებმა გაცილებით მეტი ნედლეული დააკლეს სახელმწიფოს. აბაშის რაიონს — 6 ათასი ტონა აკლია, თელავისას — 4.200 ტონა, ცხაკაიას — 3.800 ტონა, ყვარლისას — 2.200 ტონა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას 3.200 ტონა. სულ ამ რეგიონებში დანაკლისი 19 ათას ტონას აღემატება.

1985 წელს რესპუბლიკაში გეგმით უნდა დამზადდეს 26 ათასი ტონა ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული; ხუთწლიანი გეგმა და ნაკისრი ვალდებულებანი რომ შევასრულოთ, რესპუბლიკაში სულ უნდა დამზადდეს 34 ათასი ტონა, გაერთიანების მეურნეობებმა კი 13.750 ტონის ნაცვლად 15.000 ტონა უნდა დაამზადონ.

უამინდობის მიუხედავად, ორგანიზებულად მოიკრიფა ვარდის ფურცლის მოსავალი და სათანადოდ გადამუშავდა კიდეც.

ახლა ცალკეულ ეთერზეთების მეურნეობებში ზოგიერთი სახის ეთერზეთოვანი კულტურების მოსავალს იღებენ და ამუშავებენ. პარალელურად ხდება დანადგარ-მოწყობილობების შეკეთება, რათა გერანისა და რეჰანის მოსავალი შეუფერხებლად გადავამუშაოთ.

გაერთიანების მეურნეობებისა და საწარმოების მშრომელთა გადაწყვეტილებაა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის და საგეგმოს გადამეტებით მილიონი მანეთის პროდუქცია მიიღონ.

ი. ეცადაშვილი,
საქართველოს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვის" უფროსი.

შრომითი „სემესტრი":

ნაყოფიერი საქმიანობაც, დასვენებაც

ქუთაისი. (საკ. კორ.). სტუდენტური რაზმების საზაფხულო შრომით საქმიანობაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალგაზრდებს. ისინი მონდომებით შრომობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობებზე, საკოლმეურნეო ველმინდვრებში.

შარშან ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე კარგ წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი: მომავალი პედაგოგებისაგან შემდგარმა რაზმმა „აღმაშენებელმა" აუნაზღაურებლად იმუშავა ბაგრატის ტაძრის კონსერვაცია-რესტავრაციასა და გელათის სამონასტრო ანსამბლის მიდამოებში მიმდინარე არქეოლოგიურ გათხრებზე, რისთვისაც იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. ახალგაზრდები ამ ზაფხულსაც ერთგულად აგრძელებენ შარშან დაწყებულ საქმეს. სარესტავრაციო სამუშაოებში და არქეოლოგიურ გათხრებში 70 სტუდენტი მონაწილეობს, ისინი გამომუშავებულ თანხას საქართველოს სსრ ძეგლთა დაცვის სამმართველოს გადაურიცხავენ.

შრომითი წარმატებების მაუწყებელი ცნობები მოდის კრასნოდარის მხარიდანაც, სადაც ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტურ შრომით რაზმში გაერთიანებული 100 ახალგაზრდაა წარგზავნილი. ისინი სულ 125 ათასი მანეთის სამუშაოს შეასრულებენ.

ინსტიტუტში შექმნილი საგანგებო შტაბი ყურადღებით ადევნებს თვალყურს სტუდენტური რაზმების საქმიანობას და ზრუნავს იმაზე, რომ რაზმებში გაერთიანებულმა ახალგაზრდებმა ნაყოფიერადაც იშრომონ და გონივრულადაც და შინაარსიანადაც დაისვენონ.

დ. ბედენაძე.

მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლება —თანამედროვე ამოცანების დონეზე

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა 1985-86 სასწავლო წელს მშრომელთა პარტიული სწავლებისა და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის ამოცანები და თავისებურებანი. ისინი დაკავშირებულია სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადებასთან, მიმდინარე ხუთწლედის დამთავრებასა და მეთორმეტე ხუთწლედის დაწყებასთან, გამომდინარეობენ ახალი პარტიული დოკუმენტების შინაარსიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა დასახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამა, რომელიც ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ქვეყნის ეკონომიკური, თავდაცვითი ძლიერებისა და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის ზრუნვით, მსოფლიო სოციალიზმის ბედისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის პასუხისმგებლობით არის განმსჭვალული. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულმა თათბირმა განიხილა პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მთავარი მიმართულებანი, დასახა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის, ინვესტიციური და სტრუქტურული პოლიტიკის გარდაქმნის, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შემდგომი განვითარებისა და ეფექტიანი გამოყენების, რესურსების ეკონომიისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, დაგეგმვისა და მართვის, მთელი სამეურნეო მექანიზმის ღრმა გარდაქმნის გზები.

დასახულ ამოცანათა გადაწყვეტა მოითხოვს ავამოქმედოთ მთელი ორგანიზაციული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, დავამყაროთ წესრიგი, გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა და დისციპლინა, სრულვყოთ ადამიანებთან მუშაობის სტილი და მეთოდები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებისადმი მიძღვნილ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „პარტიის მთელი გამოცდილება მოწმობს: ცოტა რამე თუ შეიცვლება ეკონომიკაში, მართვაში, აღზრდაში, თუ არ განვახორციელეთ ფსიქოლოგიური გარდაქმნა, ადამიანებს არ ჩავუნერგეთ სურვილი და უნარი იაზროვნონ და იმუშაონ ახლებურად". ადამიანის ფაქტორი, მასების შემოქმედებითი ინიციატივა საზოგადოების გადამწყვეტი გარდამქმნელი ძალა, საქმიანობის ყველა სფეროში პროგრესის წყაროა. ამ ფაქტორის გააქტიურებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას, მშრომელთა მარქსისტულ-ლენინურ განათლებას.

მარქსიზმ-ლენინიზმი კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პარტიის პოლიტიკის ურყევი მეცნიერული საფუძველია. ჩვენი პარტია ლენინიდან ამოწმებს თავის პრაქტიკულ საქმიანობას კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის მოძღვრებით, შემოქმედებითად ამდიდრებს რევოლუციურ თეორიას და ამით ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ამოცანების გადაწყვეტის დროს. კომუნისტების, ყველა მშრომელის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის, სსრ კავშირისა და მოძმე ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული გამოცდილების შესწავლა იყო, არის და იქნება უმნიშვნელოვანესი მიმართულება იმ მუშაობაში, რომლის მიზანია მასების იდეური შეიარაღება, საბჭოთა ადამიანების მატერიალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მათი პოლიტიკური შეგნებისა და შრომითი აქტიურობის ამაღლება.

ყოველ მორიგ სასწავლო წელს პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების კონკრეტული შინაარსი განისაზღვრება რეალური ვითარების, კადრების მომზადების უკვე არსებული დონისა და პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გათვალისწინებით. განვლილ სასწავლო წელს ახასიათებდა მთელი რიგი პოზიტიური ტენდენციების შემდგომი გაღრმავება, რომლებიც დაისახა მარქსისტულ-ლენინურ განათლებაში პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ. გაიზარდა კომუნისტთა და უპარტიოთა ინტერესი ლენინის თეორიული მემკვიდრეობისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილებისადმი, კომუნისტური მშენებლობის აქტუალური პრობლემებისადმი. მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი ნაწილების შემსწავლელ პარტიული სწავლების სისტემის მსმენელთა რიცხვი 1984-85 სასწავლო წელს ხუთწლედის დამდეგთან შედარებით ერთისამად გაიზარდა. იდეოლოგიური ბრძოლის პრობლემებს იხილავენ სემინარებზე მეცნიერები, სამეურნეო და პარტიული მუშაკები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები. იზრდება საზოგადოების წევრთა კლასობრივ აღზრდაში პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების როლი.

უფრო საგრძნობი ხდება სწავლების, განსაკუთრებით ეკონომიკური სწავლების წვლილი სახალხო-სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში. მეცადინეობა მუშებთან, სპეციალისტებთან და ხელმძღვანელებთან ამდიდრებს ადამიანებს საჭირო ცოდნით, შესამჩნევ გავლენას ახდენს მათი შრომითი აქტიურობის ამაღლებაზე. ეკონომიკური განათლების შინაარსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მატერიალური რესურსების ეკონომიის, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საკითხებმა. ფართოდ ისწავლება მოწინავე საწარმოო გამოცდილება, მეურნეობრიობის პროგრესული მეთოდები.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ყველა ეს დადებითი მხარე კვლავაც უნდა განვითარდეს. ამავე დროს პარტიულმა კომიტეტებმა ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს არსებით ძვრებს ფორმალიზმის დაძლევასა და მეცადინეობის ხარისხის გაუმჯობესებაში. პოლიტიკური სწავლება ზოგჯერ მოწყვეტილია ცხოვრებას და ინფორმაციული ხასიათი აქვს. ბევრი კომუნისტი სუსტად იყენებს მიღებულ ცოდნას თავის შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ახალგაზრდობის აღზრდაში. ხელმძღვანელ მუშაკთა, სპეციალისტთა მუშათა და კოლმეურნეთა ნაწილის არასაკმარი ეკონომიკური მომზადება აფერხებს წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესს, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების გამოყენებას. სერიოზული ნაკლოვანებებია პროპაგანდისტულ კადრებთან მუშაობაშიც, პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სამეცნიერო-მეთოდიკურ უზრუნველყოფაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა ღრმად უნდა გააანალიზონ განვლილი სასწავლო წლის შედეგები, უფრო მომთხოვნელად შეაფასონ საქმის ვითარება, გამოიტანონ დასკვნები და გაითვალისწინონ ისინი 1985-86 სასწავლო წლისათვის მომზადებისა და მეცადინეობის უზრუნველყოფის დროს. ამ მიზნით ეს საკითხები განხილული უნდა იყოს პარტიულ კრებებზე, პარტიული აქტივის თათბირებზე.

არსებითად მომავალი სასწავლო წელი იყოფა ორ პერიოდად — ყრილობისწინა (ოქტომბერ-თებერვალი) და ყრილობისშემდგომ (მარტ-ივნისი) პერიოდებად. პირველი დროით ემთხვევა ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას, სკკპ პროგრამის ახალი რედაქციისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების პროექტების განხილვას. ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ გათვალისწინებულია მოეწყოს სამი სპეციალური მეცადინეობა.

სასწავლო წლის დაწყებიდან და ყრილობამდე პარტიული, კომკავშირული, მასობრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების შინაარსს საფუძვლად დაედება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მასალები, სხვა საყრილობო დოკუმენტები. მათში ჩამოყალიბებული მოთხოვნების, დასკვნებისა და დებულებების შინაარსის პრაქტიკული განხორციელებისათვის მეცადინეობაზე უნდა გამოვავლინოთ განვითარების რეალურად მიღწეული დონის შეფასებისადმი, სოციალურ-ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და იდეურ-აღმზრდელობითი პრობლემების გადაჭრისადმი პარტიის ახალი მიდგომის შინაარსი. ყოველ მსმენელს უნდა გავაცნოთ პარტიის იმ კურსის დედააზრი და საარსებო აუცილებლობა, რომელიც ითვალისწინებს წარმოების მეცნიერულ-ტექნიკურ განახლებასა და შრომის ნაყოფიერების უმაღლესი მსოფლიო დონის მიღწევას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, სოციალისტური დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობის გაღრმავებას, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში, რომელიც ყოველწლიურად 60 მილიონზე მეტ კაცს მოიცავს, არის შესაძლებლობა აქტიური ზეგავლენა მოვახდინოთ ადამიანთა მრწამსსა და ეფექტიან მოქმედებაზე, მათთვის ისეთი საქმიანი თვისებების ჩანერგვაზე, როგორიცაა კომპეტენტურობა, საქმიანობა, სოციალისტური გერგილიანობა, ახლის გრძნობა, უნარი გამოიყენონ ზრდის შინაგანი რეზერვები, იბრძოლონ მფლანგველობისა და დანაკარგების წინააღმდეგ. ყოველ მეცადინეობას შეუძლია და კიდეც უნდა მოახდინოს გავლენა იმაზე, რომ ჩვენს კადრებს, ყველა მშრომელს ჩამოუყალიბდეთ თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნება, უნარი იაზროვნონ სახელმწიფოებრივად, იმუშაონ ახლებურად, პარტიის მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დონეზე, მარქსისტულ-ლენინური სწავლების ყველა ფორმაში მთავარია მივაღწიოთ მის მაქსიმალურ დაკავშირებას ცხოვრებასთან, ამოცანებთან, რომლებსაც წყვეტენ პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ყველა ფორმაში ახალი სასწავლო წელი რეკომენდებულია დაიწყოს მეცადინეობით თემაზე „მთელი შესაძლებლობანი და რეზერვები — 1985 წლის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებას, სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულ შეხვედრას". პირველი მეცადინეობის ძირითადი დანიშნულებაა დაეხმაროს მსმენელებს, ღრმად შეიგნონ, თუ რა უაღრესი მნიშვნელობა აქვს პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს და რაოდენ გადაუდე-

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

7 აგვისტო ● საქდესი იუწყება

სოციალისტურ ქვეყნებში

გდრ

თანამშრომლობის კეთილი ნაყოფი

ბერლინი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის გამიზნული კონკრეტული პროგრამების შეხწავლა, შემუშავება და განხორციელება, სხვადასხვა დარგში წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

პირველად 20 ტონა დედერონის ქსოვილი მიიღეს ახალი საქსოვი ტექნიკით, რომელიც შემუშავდა და გაღრმავდა ორი მოძმე ქვეყნის სპეციალისტების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად. თავის წინამორბედებთან შედარებით იგი შრომის ნაყოფიერების 2,5-ჯერ გაზრდის საშუალებას იძლევა. ამიერიდან რუდოლშტადტის „ვილჰელმ პიკის" ქიმიური კომბინატის მეთაური საწარმოს ეს პროდუქცია გაიგზავნება მრეწველობის სხვადასხვა დარგში შემდგომი გამოყენებისათვის. საწარმოში მიმდინარე რეკონსტრუქციის წლის ბოლომდე მწყობრში ჩადგება ორი ახალი ჩქაროსნული ხაზი.

უნგრეთი

საიმედო პერსპექტივები

ბუდაპეშტი. უნგრეთის ფარმაცევტული მრეწველობის ყოველი მეორე საწარმო ატარებს რესპუბლიკის „წარჩინებული საწარმოს" საპატიო სახელს. ეს უფლება მათ მოიპოვეს გამოშვებული პროდუქციის სრულყოფის, საექსპორტო მიწოდებათა დინამიკური გაფართოების შედეგად. დღეისათვის ფარმაცევტიკა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი დარგია.

სოციალისტური ქვეყნების, და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის, დიდი და გარანტირებული შეკვეთები ქმნიან ქვეყნის ფარმაცევტიკის განვითარების საიმედო პერსპექტიულ საფუძველს. მაგალითად, მარტო მიმდინარე წელს სსრ კავშირში უნგრეთის მედიკამენტებისა და სამკურნალო საშუალებათა მიწოდების მოცულობა 260 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს. თავიანთი ძირითადი პარტნიორის მისამართით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაცევტული საწარმოები გზავნიან 200-ზე მეტი დასახელების სხვადასხვა პრეპარატს, მათ შორის ვეტერინარულსაც. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი აწვდის უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას სხვადასხვა ფარმაცევტულ ნაწარმს, მათ შორის მზა სამკურნალო საშუალებებს, ვაქცინებს, შრატს.

ყოველწლიურად ფართოვდება თანამშრომლობა ორი ქვეყნის მეცნიერებს შორის ახალი სამკურნალო პრეპარატების შემუშავების დარგში. ახლა როგორც უნგრეთში, ისე სსრ კავშირში უშვებენ ერთობლივი გამოკვლევების შედეგად შექმნილ რამდენიმე სახეობის წამალს.

ვიეტნამი

მაზრების „პასპორტიზაცია"

ჰანოი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერებმა და სპეციალისტებმა დაამთავრეს ვიეტნამის 818 მაზრის ეკონომიკური შესაძლებლობის „პასპორტიზაციის" სამუშაო. მათ ნიადაგის, გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, შრომითი რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კომპლექსური გამოკვლევის შედეგად შეადგინეს თითოეული მაზრის „პასპორტი", რომელშიც გათვალისწინებულია, უხვმოსავლიანი კულტურების წარმოებისა და ეკონომიკური ერთეულის მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების რეკომენდაციები.

ამ მეცნიერულად დასაბუთებული დოკუმენტის წყალობით მაზრების ხელმძღვანელობამ მიიღო შესაძლებლობა მიზანდასახულად განავითარონ თავიანთი ზონების ეკონომიკა ვიეტნამის კომპარტიის V ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების მიზნით.

ნამიბია

რასისტები გააქტიურდნენ

თავს უყრიან ჯარებს ანგოლის საზღვრის მახლობლად

პარიზი. ამ დღეებში აღინიშნა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული რეჟიმის ჯარების გაძლიერებული თავმოყრა უკანონოდ ოკუპირებული ნამიბიის ჩრდილოეთ ნაწილში, ანგოლის საზღვრის მახლობლად. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტო.

ამასთან ერთად, ფრანს პრესის სააგენტოს მონაცემებით, რასისტებს იქვე გადაჰყავთ უნიტას დაჯგუფების მრავალრიცხოვანი ბანდები, რომლებიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპეცსამსახურებისა და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამსახურში იმყოფებიან. ისინი იჭრებიან ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში. გააქტიურდნენ ქვეყანაში წინათ შეგზავნილი ტერორისტებიც. ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებით განახორციელეს ოპერაციები ბანდიტთა წინააღმდეგ და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს მათ. ხელთ იგდეს დიდძალი სამხრეთაფრიკული და დასავლური იარაღი და ტყვია-წამალი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა გააზშირეს სადაზვერვო ფრენა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში, უხეშად არღვევენ მის საჰაერო საზღვრებს. სამხრეთაფრიკელთა პატრულები იჭრებიან ანგოლის ტერიტორიაზე.

ავღანეთი

თავიდან აიცილეს სისხლიანი დანაშაული

ქაბული. ავღანეთში თავიდან აიცილეს კონტრრევოლუციონერთა კიდევ ერთი სისხლიანი დანაშაული. 2 აგვისტოს დუშმანებმა ქალაქ ჰერატის ყველაზე დიდ მეჩეთს სამი საათის ხანგრძლივობის მექანიზმიანი მძლავრი ნაღმი დაუდეს. აფეთქება უნდა მომხდარიყო, როდესაც პარასკევის ლოცვაზე უამრავი მუსლიმანი შეიკრიბებოდა. გაუვნებლებული ნაღმებიდან ორს ქონდა დამღა „დამზადებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში", მესამე — იტალიური წარმოებისა იყო.

იმპერიალიზმის ძალები, რომლებსაც სძულთ რევოლუციური ავღანეთი, მასობრივი ტერორის ყველაზე ბარბაროსულ მეთოდებს იყენებენ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ შეიარაღებული და შეგზავნილი ბანდიტები, რომლებსაც დასავლეთში „სარწმუნოების დამცველებს" უწოდებენ, არც ისლამის წმინდა ადგილებს ერიდებიან და არც მუსლიმან რელიგიურ მოღვაწეებს ინდობენ. მასობრივი ტერორი, რომელსაც დუშმანები დემოკრატიული ავღანეთის მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართავენ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონტრრევოლუციამ სრულიად დაკარგა მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი და ახლა ძალადობის აქტებით ცდილობს გამოიწვიოს აღშფოთება ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

ახლო აღმოსავლეთი

ქემპ-დევიდის „რეანიმაციის" ცდა

ანუ რისთვის იწვევენ საგანგებო თათბირს კასაბლანკაში

ბეირუთი. ლიბანის კომუნისტურმა პარტიამ გააკრიტიკა წინადადება კასაბლანკაში მოიწვიონ არაბული სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა საგანგებო თათბირი. ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ აქციას არაბული რეაქცია ახორციელებს ვაშინგტონის მითითებით იმ მიზნით, რომ განამტკიცოს ამერიკის ბატონობა რეგიონში, პალესტინელ არაბ ხალხს მოუსპოს მისი კანონიერი უფლებანი, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება. კასაბლანკაში შეხვედრის პირდაპირი შედეგი იქნება, ნათქვამია დოკუმენტში, ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის გაძლიერება, რასაც მოწმობს რეგიონში ამერიკის მხედრიონის მონაწილეობით ამჟამად მიმდინარე მანევრები „ბრაიტ სტარ-85".

საგანგებო თათბირი, აღნიშნულია განცხადებაში, იმისათვის ეწყობა, რომ მხარი დაუჭირონ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოწონებულ ამანის კაპიტულანტურ შეთანხმებას, შეასუსტონ არაბთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

დოკუმენტში გამოთქმულია რწმენა, რომ პროგრესული ძალები არაბულ სამყაროში შეძლებენ სათანადო პასუხი გასცენ ანტიარაბულ ზრახვებს და ჩაფუშონ მათი განხორციელება, ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოითხოვა განამტკიცონ სოლიდარობა საბჭოთა კავშირთან და არაბი ხალხებისადმი მეგობრულად განწყობილ ყველა სხვა ქვეყანასთან.

დამასკო. „ სირიის გაზეთმა „ალ-ბაასმა" კასაბლანკაში თათბირის მოწვევა მიიჩნია ცდად განაახლონ არაბული ქვეყნების უმრავლესობის მიერ უარყოფილი ქემპ-დევიდის პროცესი. როგორც გაზეთი წერს, ეს შეხვედრა დააბრკოლებს არაბული ხალხების წინაშე მდგარი კარდინალური პრობლემების გადაწყვეტას. ფაქტობრივად იგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის შეთქმულებაა, რომლის მიზანია განახორციელონ ის, რაც მათ ვერ შესძლეს გასულ წლებში.

გაღიზიანებული პრეზიდენტი და აღშფოთებული აუდიტორია

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რ. რეიგანმა გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც იცავდა ამერიკის სტრატეგიული შეიარაღების შემდგომ ზრდას და კოსმოსური იარაღის შექმნას თავისი „კოსმოსური ომების" პროგრამის ფარგლებში.

პრესკონფერენციის დროს მას ჰკითხეს, რატომ არ უნდა მიიღოს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის წინადადება და არ სურს გამოაცხადოს ერთობლივი მორატორიუმი ბირთვულ გამოცდაზე. რ. რეიგანმა გასაგებად თქვა, რომ შეერთებული შტატები უარს ამბობს მიიღოს საბჭოთა წინადადება. ცდილობდა რა დაესაბუთებინა თავისი პოზიცია, იგი ფაქტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ ორმხრივი მორატორიუმი ვითომდა ხელს აძლევს მხოლოდ საბჭოთა კავშირს და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „უნდა მოაწყოს თავისი გამოცდები". როდესაც ერთ-ერთი კორესპონდენტი შეეკამათა და თქვა, „რამდენადაც ვიცით, ჩვენი (ამერიკის) გამოცდა უკვე დამთავრდაო", რეიგანმა უარყო მისი ნათქვამი. ამას მოჰყვა ახალი კითხვა: „მაშ როდის დამთავრდება? ერთი წლის შემდეგ?" საბოლოოდ დაბნეულმა პრეზიდენტმა გაღიზიანებით თქვა: „არ ვიცი, არ ვიცი".

რეიგანმა თავი აარიდა ამ საკითხის შემდგომ განხილვას და ყველაფერი იმას დააბრალა, თითქოს საბჭოთა კავშირმა გაუსწრო შეერთებულ შტატებს და ახლა ამერიკა იძულებულია გამოასწოროს ეს მდგომარეობა. პრეზიდენტის ასეთი მტკიცება აშკარად ეწინააღმდეგება ნამდვილად არსებულ ვითარებას. ამას მოწმობს, კერძოდ, მონაცემები, რომლებიც თავის დროზე გამოაქვეყნეს სხვადასხვა ქვეყნის თავდაცვითი კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტებმა. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ შეერთებულ შტატებს მესამედით მეტი გამოცდა მოუწყვია, ვიდრე საბჭოთა კავშირს.

პრეზიდენტ რეიგანის უარმა საბჭოთა წინადადებაზე მორატორიუმისა და ბირთვული გამოცდის სრული აკრძალვის შესახებ კვლავ დაადასტურა, რომ განიარაღების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ჯეზი მიზნად ისახავს განაგრძოს თავისი ბირთვული არსენალების მოდერნიზაცია, მოაწყოს გამოცდები, გააძლიეროს ბირთვული შეიარაღება.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა „განმარტა" რ. რეიგანის გამონათქვამები, რომლებმაც კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთეს მისი უარი მორატორიუმზე. თეთრი სახლის წარმომადგენელმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ „რ. რეიგანს არ წამოუყენებია არავითარი ახალი ინიციატივა" და რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს განაგრძოს „თავისი შეიარაღების მოდერნიზაცია".

პრესკონფერენციაზე პრეზიდენტს მისცეს შეკითხვები ამერიკის მიერ ჰიროსიმისა და ნაგასაკის დაბომბვის წლისთავთან დაკავშირებით. პასუხად რ. რეიგანმა განაცხადა: „ჩვენ ჩამოვაგდეთ ბომბი, რათა ბოლო მოგვეღო კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომისათვის. ვფიქრობ, ახლა უბრალოდ სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი გადაწყვეტილება არ უნდა მიგვეღო". პრეზიდენტის ნათქვამმა აღშფოთება გამოიწვია აუდიტორიაში, სადაც პრესკონფერენცია მიმდინარეობდა. რ. რეიგანის ამ განცხადებასთან დაკავშირებით ამერიკის პრესას მოჰყავს იაპონიის პრემიერ-მინისტრის ი. ნაკასონეს სიტყვები, რომელმაც თქვა: „ჰიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა ანტიჰუმანურ აქტს წარმოადგენდა. ქალაქებსა და სამოქალაქო მოსახლეობაზე ეს თავდასხმები საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა, ყოვლად დაუშვებელი აქცია იყო. პოლიტიკოსებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა ასეთი რამ აღარ გამეორდეს".

ფოტოინფორმაცია

სირიის არაბთა რესპუბლიკა. შრომითი აღმავლობის ვითარებაში ცხოვრობს და შრომობს სირიელი ხალხი, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს პროგრესულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა კურსი და დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა. მშენებარე ქარხნებს, საირიგაციო ნაგებობებს, რკინიგზებს, ნავთობსარეწებს, სხვა ახალმშენებლობებს ნახავთ ყველგან. და ამ ახალმშენებლობით შრომაში სირიელებს ყოველთვის უხმარებიან საბჭოთა კავშირი, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები.

სურათზე: ცემენტის ქარხანა დამასკოს მახლობლად. სირიელ კოლეგებთან ერთად მუშაობენ ბულგარელი სპეციალისტები ივანე მანევი და ალექსანდრე ლუბენოვი (სურათის კიდეში).

საქდესის ფოტო.

აშშ

პასუხად — გენოციდი

ვაშინგტონი. გენოციდი, — ასეთია ვაშინგტონის ხელისუფალთა პასუხი ამერიკელ ინდიელთა მოთხოვნაზე პატივი სცენ მათი არსებობის, შრომის, საკუთარი ენისა და კულტურის შენარჩუნების უფლებას.

ვაშინგტონმა მიზნად დაისახა გაანადგუროს ამერიკის შეერთებულ შტატებში ეროვნულ უმცირესობათა ეს წარმომადგენლები და, როგორც პრესა მოწმობს, სასტიკ რეპრესიებს ატეხს თავს ამერიკელ ინდიელთა მოძრაობის — იმ ორგანიზაციის აქტივისტებს, რომელიც სათავეში უდგას მკვიდრ მცხოვრებთა ბრძოლას მათი დამმონებლების წინააღმდეგ.

გმირობის ბიოგრაფიის ფურცლები

მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების 40 წლისთავისათვის

1945 წლის აგვისტოში შორეულ აღმოსავლეთში მილიტარისტული იაპონიის 23 დღეში ელვისებური განადგურება მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი უბრწყინვალესი საბრძოლო ოპერაციაა. მის წარმატებას ხელს უწყობდა ანტიჰიტლერულ კოალიციაში მოკავშირეებთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებთან და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიასთან თანამეგობრობა.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მუზეუმი ფართო პროპაგანდას უწევს საბჭოთა მეომრების სახელოვან საბრძოლო ტრადიციებსა და გმირობას, რომლებმაც იაპონელი მილიტარისტები გაანადგურეს.

დიდ სტენდზეა შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების საბრძოლო მოქმედების ოპერატიული რუკა, აქვეა შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ა. ვასილევსკის, საბჭოთა ჯარების საბრძოლო მოქმედების ხელმძღვანელების, საბჭოთა კავშირის მარშლების კ. მერეცკოვის და რ. მალინოვსკის ფოტოები. ასრულებდნენ რა სარდლობის სტრატეგიულ ჩანაფიქრს, საბჭოთა მეომრებმა გამოავლინეს უმაგალითო სიმტკიცე და ვაჟკაცობა, მასობრივი გმირობა. 87 მებრძოლსა და მეთაურს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ხოლო ექვს მათგანს ეს წოდება ორგზის მიენიჭა. 308 ათასზე მეტი მებრძოლი და მეთაური დაჯილდოვდა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. ბრძოლების აქტიურ მონაწილეთა შორის არიან ჩვენი თანამემამულეებიც — გადამდგარი პოდპოლკოვნიკი ირაკლი მებალიშვილი, მაიორი თევდორე მაისურაძე, ყოფილი დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ა. ბაჯელიძე, გადამდგარი პოლკოვნიკები ვ. თურქაძე და ა. არტაზოვი, კაპიტანი დ. ჩხიკვაძე, ახლახან გარდაცვლილი, მე-17 არმიის გაზეთის ყოფილი რედაქტორი, პოლკოვნიკი მ. გოლოვასტიკოვი და სხვ.

მუზეუმის თანამშრომლები და მისი მრავალრიცხოვანი აქტივი ფართო საძიებო მუშაობას ეწევიან, ავლენენ მილიტარისტული იაპონიის განადგურების მონაწილეებს, მაგნიტურ ლენტზე იწერენ მათ მოგონებებს, აგროვებენ დოკუმენტებს და მასალებს, ბრძოლის მონაწილეთა ჯილდოებს, იარაღს, პირად ნივთებს.

მზადდება თემატური გამოფენა „მეორე მსოფლიო ომის ფინალი".

მუზეუმის კოლექტივში დიდი შემოქმედებითი სლმავლობაა. ახლახან რესპუბლიკის ახალგაზრდობის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებასა და პატრიოტულ აღზრდაში მიღწეული მაღალი შედეგებისათვის მუზეუმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მუზეუმი გახსნის დღიდან 318 ათასმა კაცმა დაათვალიერა. (საქინფორმი).

ჩაის ბუჩქები და ჩაის ბოლი...

ფელეტონი

არიან ადამიანები, რომლებიც ოპონენტობისათვის გაჩენილან, სულ დამწუნებლის როლში უნდათ ყოფნა. „არ ვარგა", „როგორ შეიძლება", „კრიტიკას ვერ უძლებს", „შეცვალეთ", „გადაახალისეთ", „მოსპეთ"... სხვა სასიკეთო სიტყვა მათს არსენალში არ არსებობს.

არიან ისეთებიც, რომლებიც დღენიადაგ გაიძახიან — „დიდებულია", „ამის მჯობნი არ არსებობს", „უმაღლესია", „უმშვენიერესია" და სხვ.

არიან „ოქროს შუალედის მომხრენიც", რომლებიც „არც მწვადს წვავენ და არც შამფურს".

მოგეხსენებათ, ქვეყანაც „ჭრელი" იმიტომაა, რომ ასეთი ადამიანებით არის დასახლებული და ძალზე იშვიათად ხდება, რომ ამ სხვადასხვა ზნის ხალხმა პირი შეკრას და ერთხმად ან აქოს და ან აძაგოს რამე.

ჩვენი აზრით, ახლა საზოგადოება მხოლოდ ორ რამეშია ერთსულოვანი: გვიჭირს ფეხბურთში და გვიჭირს ჩაის ხარისხს. ეს საგანგაშოა!

მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში ჩაის საერთო პროდუქციის 97 პროცენტს ჩვენ, ქართველები ვაწარმოებთ. ამიტომაც, ვლადივოსტოკიდან მოყოლებული, თუკი ქართველ კაცს მოგკრეს თვალი, ყველა ვალდებულად თვლის თავს სხვადასხვა ფორმით — გულისტკივილით, სინანულით, გაჯავრებითაც კი რაიმე გითხრას. ამას წინათ მოსკოვ-თბილისის მატარებელში ერთმა მგზავრმა ისიც კი გვაკადრა, რომ ყველას გასაგონად თქვა: თქვენი ჩაი უგემურიაო!.. რა უნდა გვეთქვა, — გავჩუმდით!

ხომ გინახავთ ადამიანები, კროსვორდის ამოხსნიდან ჰეგელის ფილოსოფიის ჩათვლით, ყველაფერი რომ იციან. სწორედ ისეთი აღმოჩნდა ეს ჩვენი „ჩაისწუნია" კაცი. მურმანსკიდან წყალტუბოში მიდიოდა, მოყვა და მოყვა ჩაის კულტურისა და მისი წარმოების ისტორიას, ისე დაწვრილებით აგვიხსნა ჩვენი ჩაის ავ-კარგი, იმდენი სახოტბო სიტყვა თქვა რომ ჩვენ სირცხვილით (უცოდინარობის გამო) ალმური მოგვედვა.

— ჩვენში ახლა, ბატონო, დიდი ბრძოლაა გაჩაღებული ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად!

— აი, ეს მესმის?!. — მასწავლებელივით დაგვიყვირა მან და ჩვენ მივხვდით, რომ ამ კაცს ყველა ჩაის მოყვარულის სახელით შესტკივა ჩვენზე გული.

— ნუ მოდუნდით, ქებამ გაწყინათ!—გვეუბნება და მეგობრულად გვიღიმის. რა გინდა ახლა რომ ქნა, მართალს ამბობს ეს კაცი და, მოგეხსენებათ, მართალი კაცი ქვაზე უფრო მაგარია!

ყველა ძალას ვხმარობთ, აუცილებლად გავაუმჯობესებთ ხარისხს... თამარ ყუფუნიამ, ორგზის სოციალისტურმა შრომის გმირმა დედა-შვილური წერილით მიმართა ყველა მეჩაიეს, ყველა მშრომელს, რომ სირცხვილში არ ჩავაგდოთ მთელი რესპუბლიკა!

ამ წერილმა დიდი საქმე გააკეთა. დააფიქრა, შემართა ხალხი.

მოქრის მატარებელი „თბილის-მოსკოვი", ეს კაცი ჩაიზე ლაპარაკს არ ათავებს, გამცილებელიც უცნაურად გულისხმიერი გამოგვადგა თითქოს განგებ სამჯერ ჩამოარიგა ჩაი... და ისე ტკბილად იკითხა. Чайку не желаете-ო, რომ სულ უშაქროდ დალევდა კაცი ასეთ ჩაის.

ჩვენ რომ აქ შავ დღეში ვიყავით ლანჩხუთის რაიონის აკეთის კოლმეურნეობის, თავმჯდომარე გიორგი ღლონტი და ლანჩხუთის მეთაური ჩაის ფაბრიკის უფროსი ნოდარ ფირცხალაიშვილი, პარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივნის მისაღებში იყვნენ იმავე დღეში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ კონკრეტულ პასუხს თხოვდნენ იმისათვის, რისთვისაც ჩვენ (ზოგადად) უკვე ვაგეთ პასუხი ამ ჩაის მოყვარული ჭარმაგი კაცის წინაშე. — ხმა არ ამოგვეღებოდა არც ჩვენ, და მით უმეტეს, მათ. გიორგი ღლონტი და ნოდარ ფირცხალაიშვილი, საქმიანი გარიგების ენით რომ ვილაპარაკოთ, ჩამბარებელ-მწარმოებელია, რასაც ერთი კრეფს, მეორე ამუშავებს... ამ ორი კაცის პასუხისმგებლობაზე თუ უპასუხისმგებლობაზეა აგებული მთელი ეს უსიამო ამბავი. ვინ არ იცის, რომ ჩაის კრეფა მძიმე და საპატიო შრომაა, მზის გულზე, ავდარსა და დარში ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, მაგრამ, ჩანს, რაოდენობამ გაგვიტაცა მეტისმეტად და ხარისხის ხარჯზე გემო ვანაცვალეთ წონას, ამას კი არა და არ გვაპატიებს მომხმარებელი. ამას ხელი სწორედ იმანაც შეუწყო, რომ ჩამბარებელმა ანუ მწარმოებელმა ჩაის ფოთოლი განუკითხავად მიიღო. ზოგი იმასაც კი ამბობს — ოღონდ ბუჩქი იყოს, და მკრეფავები, ჩაისაა თუ არა ეს ბუჩქი, — კრეფენ, ხოლო მწარმოებლები, ოღონდ ფოთოლი იყოს, იბარებენო. რა თქმა უნდა, არც ასეა საქმე, მაგრამ ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ არისო და, ჩანს, მართლაც მთლად არც უმისობაა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის ცხოვრების გზას გადაავლო თვალი:

— 1941 წელს დავამთავრე სკოლა, 1942 წელს გამიწვიეს სამამულო ომში, ინვალიდი დავბრუნდი, 45 წელს აცანის ჩაის ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა. მერე აცანის კოლმეურნეობაში ვიყავი ბრიგადირად, აგრონომადაც. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე დაუსწრებლად. მერე ზემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადამიყვანეს. 5 წელი ვიმუშავე, დრომა არ მაკლდა და ჯილდო, მერე აცანის კოლმეურნეობაში გადამიყვანეს თავმჯდომარედ.

— შარშან ამ დროს რაიკომის ბიურომ რომ საყვედური გამოგიცხადა, გახსოვს? — თავისთავს უცხოსავით ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ბრძანე, აბა რაში იყო საქმე...

გიორგი ღლონტმა ბრძანა:

— აკეთის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის მეჩაიეების მიერ მოკრეფილი 1460 კილოგრამი ჩაის ფოთოლი არ შეესაბამებოდა არავითარ სტანდარტების მოთხოვნებს და იგი ძირითადში უხეში და წითელი მერქნიანი ღეროებისაგან შედგებოდა. ანალოგიური ფაქტები იყო მეხუთე, პირველ და მეცხრე ბრიგადებში, რის გამოც დიდია მეორე ხარისხის ხვედრითი წილი და კოლმეურნეობაში იგი შეადგენს 29,5 პროცენტს, ასევე რაიონულ მაჩვენებელს 2,5 პროცენტით ჩამორჩება რაოდენობრივი მაჩვენებელიც.

— ახლა რაღა გინდა აქ, შარშანდელმა ჭკუა ვერ გასწავლა? — შეუბრუნა სიტყვა თავისთავს თავმჯდომარემ.

— წელს ივნისში მთაში ვიყავი, 450 სული პირუტყვი უნდა გადამეყვანა. არ ვიყავი, არ მეცალა... რა ვიცი...

ხელი ჩაიქნია ყოფილმა თავმჯდომარემ, რადგან იმ დღეს რაიკომის ბიურომ აკეთის კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებას რჩევა მისცა გადაერჩიოს იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან, ხოლო ლანჩხუთის მეთაური ჩაის ფაბრიკის უფროსი ნ. ფირცხალაიშვილი გაათავისუფლა თანამდებობიდან.

რატომ დაიწერა ეს ფელეტონი?

ზოგი იტყვის, ყველამ გაიგოს ხალხური სიბრძნე — კოკას ეუბნებოდნენ, სურავ, შენ გესმოდესო.

ზოგი იტყვის, თანამდებობას რომ ჩაგაბარებენ, პასუხსაც მოგთხოვენო...

ზოგი იტყვის, ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საქმისათვის ეს აუცილებელიაო. და კიდევ ათას მართალ სიტყვას იტყვის ჩვენი ყოვლისგამგები და შემძლე ხალხი, მაგრამ რატომ ფელეტონი — ჟანრი დაცინვის ოჯახიდან?

გურიაში ასე იხუმრეს, ამ საქმეს უშველით, თუ ცუდი ხარისხის ჩაის ფოთლის მომკრეფსა და მწარმოებელს სასჯელს დაუწესებთ: მთელი სიცოცხლე თვითონ ვასვათ საკუთარი პროდუქციაო!

აუ! რა ამბავი დატრიალდება? მაშინ კი ხარისხისათვის ბრძოლას ომის ხასიათი მიეცემა...

სამაგიეროდ მატარებლის ვაგონში რომ გამცილებელი ჩამოივლის და იკითხავს: „Чайку не желаете?»-ო.

ყველა კუპედან „მე მინდა", „მე მინდაო" ძახილით სიხარულით გამოცვივა ხალხი. სწორედ მაშინ ჩვენში ყველა შეყვარებული დაუბრუნდება ლადო ასათიანის საყვარელ ლექსს და კვლავინდებურად იტყვის:

...ჩაის ვარდები და ჩაის ბოლი,
ცისფერ კაფეში შევდივართ ორნი,
ცისფერ მაგიდას შემოუსხდებით!

გ. ნოდია,
რ. დვალიშვილი.

ბელია ისინი, თითოეულს მიზნად დაუსახოს აქტიური და ეფექტიანი მონაწილეობა მათ რეალიზაციაში, საყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალი ხუთწლედის საკონტროლო ციფრების განხილვაში, სამუშაო ადგილზე, ბრიგადაში, უბანზე, გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების შრომითი კოლექტივში მომჭირნეობის ზრდის რეზერვების გამოვლენაში.

შემდგომში სწავლების ყველა ფორმაში, სადაც არ დამთავრებულა შარშან დაწყებული სასწავლო კურსები; მათი შესწავლა უნდა გაგრძელდეს. პარტიულმა კომიტეტებმა, პოლიტიკური განათლების სახლებმა და კაბინეტებმა სასწავლო გეგმები ისე უნდა შეადგინონ, რომ ყრილობამდე შესრულდეს ისინი. ამასთან ყოველი თემის შინაარსი უნდა გამდიდრდეს საყრილობო პარტიულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული იდეებითა და დებულებებით.

მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემისათვის, და უწინარეს ყოვლისა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების, მეცნიერული კომუნიზმის სკოლების, თეორიული და მეთოდური სემინარების მსმენელებისათვის, რომლებმაც 1984-1985 წელს დაასრულეს სასწავლო პროგრამების შესწავლა, მიზანშეწონილია ყრილობამდე პერიოდისათვის მოეწყოს მეცადინეობა ასეთ თემებზე: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის გადაუდებელი ამოცანაა; საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვისებრივი გარდაქმნის აქტუალური პრობლემები; პარტიის კურსი — საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სრულყოფის; წესრიგის, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცება, ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრების კურსი; საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცება, სოციალიზმის ქვეყნების პოზიციების გაძლიერება მსოფლიო ასპარეზზე. ამ საკითხთა შესწავლა ხელს შეუწყობს მსმენელების მომზადებას იმისათვის, რომ ღრმად აღიქვან პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი, სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია.

მასწავლებლებისათვის მეცნიერული კომუნიზმის სკოლის მსმენელები კვლავ შეისწავლიან კურსს „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის შემადგენელი ნაწილია", ამასთან სასწავლო პროგრამას შეავსებენ თემებით, რომლებიც ავლენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს კადრების მომზადებისადმი, რეფორმის განხორციელების პირველ გამოცდილებას. ახალგაზრდებისათვის ინფორმატიკის საფუძვლებისა და ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ფლობის ჩვევების სწავლებას.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მაქსიმალურად უნდა იზრუნონ ახალგაზრდობასთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, კომკავშირული პოლიტგანათლების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის „კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის ამაღლების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროპაგანდისტული კადრების შერჩევასა და სწავლებას კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემაში.

მომჭირნეობის რეჟიმის უზრუნველყოფა დღევანდელი დღის ერთ-ერთი ყველაზე საარსებო ამოცანაა. შრომითი კოლექტივებს სერიოზულ დახმარებას გაუწევს კომუნისტური შრომის სკოლებში შესწავლა სპეციალური კურსისა — „ავამოქმედოთ მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეზერვები". ამავე დროს, პროპაგანდისტთა და მსმენელთა განსაკუთრებული მეცადინეობა უნდა მოხმარდეს გეგმისა და ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის ანალიზს, იმას, რომ თითოეულს განუვითარდეს უნარი ავლენდეს რეზერვებს, ასაბუთებდეს და აწარმოებდეს მომჭირნეობის ინდივიდუალურ და კოლექტიურ პირად ანგარიშებს, აღწევდეს დანაკარგების თავიდან აცილებას. მხოლოდ ცოდნის საფუძველზე, მომჭირნეობისათვის რეალური ბრძოლის პროცესში შეგვიძლია საზოგადოების თითოეულ წევრს ჩავუნერგოთ ბატონპატრონის თვისებები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს მეურნეობრიობის ახალი მეთოდების ფართოდ გავრცელებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მათი ზემოქმედების გაძლიერების საკითხი. 1986 წლის დამდეგიდან ბევრი დარგი, გაერთიანება და საწარმო გადადის მეურნეობრიობის ახალ პირობებზე. ამასთან დაკავშირებით კონკრეტული ეკონომიკის სკოლებსა და ეკონომიკურ სემინარებში, პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში, სახალხო უნივერსიტეტებსა და სწავლების სხვა ფორმებში შეიძლება მოეწყოს მეცადინეობა ახალი პროგრამით „ექსპერიმენტიდან — მეურნეობრიობის ახალი სისტემისაკენ".

პასუხსაგები ამოცანები დგას ახალ სასწავლო წელს სოფლის მშრომელთა ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციაში. ხელმძღვანელების, სპეციალისტების, კოლმეურნეებისა და მუშების ეკონომიკური მომზადების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება იმის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა, რომ ძირეული შემობრუნება მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისაკენ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა საფუძველზე. მომწიფდა იმის აუცილებლობა, რომ თავისებური საყოველთაო სწავლება მოვაწყოთ სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის საკითხებზე. ამ მიზნით კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისთვის რეკომენდებულია სასწავლო კურსი „სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში", ხოლო სპეციალისტებისა და ხელმძღვანელებისათვის — „სოფლად სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის ორგანიზაცია და მისი დანერგვის მოწინავე გამოცდილება".

როგორც კიევის ოლქისა და უკრაინის სხვა ოლქების მთელი რიგი რაიონების სოფლის მშრომელთა სწავლების გამოცდილება გვიჩვენებს, ამ კურსებში მეცადინეობის გამართვა უმჯობესია მოეწყოს კომუნისტებს, კომკავშირელებისა და უპარტიოებისათვის ერთიან კომუნისტური შრომის სკოლებში. მსმენელთა შემადგენლობაში ებმება ერთიანი იჯარით მომუშავე ბრიგადის, ფერმის, რგოლის ყველა მუშაკი. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა სწავლება ხორციელდება პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებში, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური ცოდნის რაიონულ უნივერსიტეტებში, კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა ფორმაში.

სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ მშრომელთა პარტიული, კომკავშირული, მასობრივ-პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიკური განათლების ყველა ფორმა გადავა ყრილობის მასალებისა და დოკუმენტების შესწავლაზე. სპეციალური კურსები იქნება შემოღებული აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების ყველა ფაკულტეტსა და განყოფილებაზე.

მომავალ სასწავლო წელს მარქსისტულ-ლენინური განათლების წარმატება შეგვიძლია უზრუნველვყოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ გაძლიერდება მუშაობის ამ უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. საჭიროა მოვაგვაროთ კურსებსა და სემინარებზე პროპაგანდისტთა კადრების დროული ინფორმირება, ინსტრუქტირება და სწავლება, გავაძლიეროთ თითოეული კომუნისტის, ყველა მშრომელის პასუხისმგებლობა თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის გაღრმავებისათვის, პრაქტიკულ მუშაობაში მისი გამოყენებისათვის.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული სასწავლო-მეთოდიკური მუშაობის გაუმჯობესებაზე, სწავლების თეორიული დონისა და პრაქტიკული მიმართულების უზრუნველყოფაზე. ამასთან დაკავშირებით ყველგან უნდა გამოვიყენოთ ქალაქ მოსკოვისა და მისი ოლქის, ლენინგრადის, ვლადიმირის, აღმოსავლეთ ყაზახეთის, დონეცკის, ივანოვოს, სვერდლოვსკისა და სხვა ოლქების პროპაგანდისტთა ცნობილი გამოცდილება, რომელიც მათ შეიძინეს პრაქტიკული ცოდნის ორგანიზაციის, რეზერვების გამოვლენაში მსმენელთა უშუალო მონაწილეობის, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, რესურსების დაზოგვის, რაციონალიზატორული და გამომგონებლობითი საქმიანობის სოციალისტური ვალდებულებების, პირადი და კოლექტიური გეგმების ეკონომიკური დასაბუთების, განხილვისა და მიღების დარგში. თითოეულ შრომით კოლექტივს აქვს შესაძლებლობა პარტიული და ეკონომიკური სწავლების სხვადასხვა ფორმის მეცადინეობაში ჩააბას ყველა აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, სახალხო კონტროლიორი, გააუმჯობესოს მათი პოლიტიკური და ეკონომიკური მომზადება, გაზარდოს მათი მებრძოლურობა და აქტიურობა საზოგადოებრივ დავალებათა შესრულებისას.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პოლიტიკური განათლების საკავშირო სახლს, ეკონომიკური განათლების ცენტრალურ მეთოდიკურ საბჭოს, სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს მარქსისტულ-ლენინური განათლების საბჭოებს, მშრომელთა ეკონომიკური განათლების ყველა დარგობრივ საბჭოს მოამზადონ ახალ თემებზე სასწავლო გეგმები და პროგრამები, აგრეთვე კორექტივები შეიტანონ იმ პროგრამებში, რომელთა შესწავლა გაგრძელდება. ჟურნალი „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიე", ყოველკვირეული „ეკონომიჩესკაია გაზეტა", დარგობრივი ჟურნალები შესასწავლად რეკომენდებული თემებისა და კურსების მიხედვით გამოაქვეყნებენ ნაშრომებსა და სასწავლო მასალებს.

პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების, თითოეული მეცადინეობის მთავარი დანიშნულებაა დაეხმაროს მსმენელებს, შრომით კოლექტივებს იმოქმედონ აქტიურად და დაუყოვნებლივ, საქმის ცოდნითა და ნოვატორულად, ორგანიზებულად და პასუხისგებით, რათა განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებანი, პარტიის გეზი, რომლის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამაღლება, მშრომელთა ინიციატივის ყოველმხრივ განვითარება.

1985-86 სასწავლო წლისათვის მზადება და მარქსისტულ-ლენინური განათლების ყველა ფორმის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა მიიჩნიოს სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, მისი გადაწყვეტილებების შესრულებისათვის თავიანთი მრავალპლანიანი საქმიანობის ორგანულ შემადგენელ ნაწილად.

„პრავდა", 1985 წლის 7 აგვისტო.

ლვოვის თეატრი აფხაზეთში

აფხაზეთის დედაქალაქში ამ დღეებში თეატრალური ხელოვნების, ძმობისა და მეგობრობის თავისებური ზეიმია. აქ ერთდროულად მიმდინარეობს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და ლვოვის წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი საბჭოთა არმიის რუსული დრამატული თეატრის გასტროლები.

ლვოველთა გასტროლები საპატიო ნიშნის ორდენოსანი ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში დაიწყო. სტუმრებს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი შ. ფაჩალია. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ლვოვის თეატრის დირექტორი ბ. ტიმოშენკო, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამხვდურთ ასეთი გულთბილი მიღებისათვის.

— აფხაზეთში პირველად ვართ, — თქვა ბ. ტიმოშენკომ, — და ეს გასტროლები, რა თქმა უნდა, ბევრს გვავალებს. გვწამს, რომ ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობა კვლავაც გაგრძელდება, სულ მალე სოხუმის საპატიო ნიშნის ორდენოსანი ს. ჭანბას სახელობის აფხაზური სახელმწიფო დრამატული თეატრი ლვოვში ჩაიწვევა.

ლვოველთა საგასტროლო რეპერტუარშია სპექტაკლები ჰეროიკულ-პატრიოტულ თემებზე. პირველ დღეს სოხუმელებმა ნახეს სპექტაკლი „ნაპირები", რომელიც ლენინური და სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ი. ბონდარევის რომანის მიხედვით შეიქმნა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავს ეძღვნება.

საგასტროლო რეპერტუარი ჟანრობრივად და თემატურადაც მრავალფეროვანია. სტუმრებმა არც პატარა მაყურებლები დაივიწყეს — ზღაპარი ჩამოიტანეს მათთვის. არის სიურპრიზიც: ორი წელია რაც ლვოვის თეატრში ჩამოყალიბდა საექსპერიმენტო „მცირე სცენა". მისი ერთ-ერთი სპექტაკლი, რომელიც აფხაზური თეატრის რეჟისორმა რ. მარხოლიამ დადგა, ლვოველთა საგასტროლო რეპერტუარშია შეტანილი და მას გაითამაშებენ სოხუმის გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე.

ლვოვის თეატრის დასი ესტუმრება აფხაზეთის წარმოება-დაწესებულებებს, გაეცნობა მუშა ახალგაზრდობას. გასტროლები აგვისტოს ბოლომდე გასტანს.

ლვოველთა გასტროლების გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ი. გოგებია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

მენოგიან ჭიორის ფოლკლორს

ონი. (საკ. კორ.). მდიდარი ფოლკლორი ჰქონიათ ჭიორელებს. სასოფლო კლუბთან არსებული ხალხური შემოქმედების შემკრები ჯგუფი გულმოდგინედ აგროვებს ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. სხვა საინტერესო მასალებთან ერთად აქ შეაგროვეს სოფელში გავრცელებული გადმოცემები ამა თუ იმ გვარის (ამჟერად რეხვიაშვილების) წარმოშობის თაობაზეც.

ენთუზიასტებმა რაიონის საზოგადოებრიობას გააცნეს ჭიორაში დღემდე შემონახული და მათ მიერ შეკრებილი თქმულებები, ლეგენდები, ანდაზები, ლოცვები, სატრფიალო შაირები და სიმღერები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10; განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსის ტ ლ. ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46; მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-15-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 290-68-47; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 5-56-36; თელავი — 3-12-99; წითელწყარო — 22-86; ტყიბული — 25-82.

უცხო მოდგმის კაცი რომ შენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესდება, შენი სიმპათია და უდიდესი პატივისცემაც იმთავითვე განაღდებული აქვს. გაიგებ, მავანი და მავანი საქართველოს ისტორიას და ლიტერატურას, ქართულ ხელოვნებას იკვლევს ან სწავლობსო, და გაცნობაც არ გინდა — შორიდან გიყვარს და იხიბლები.

საქართველოთი დაინტერესებული ნებისმიერი უცხოელი მკვლევარისა და მეცნიერის ჩამოსვლა განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩვენთვის. ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და ქართველოლოგი **სტივენ ჯონსი.** გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ინტერვიუს სტივენ ჯონსთან.

საქართველოში მომიხარია

— ბატონო სტივენ, თუ შეიძლება, ცოტა რამ გვიამბეთ თქვენს შესახებ.

— 32 წლისა ვარ. დავიბადე სამხრეთ ინგლისში, ესექსის რაიონში. სკოლის დამთავრების შემდეგ ლონდონის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ევროპისა და რუსეთის ისტორიას ვსწავლობდი. სწავლების მეოთხე წელიწადს, სამაგისტრო ასპირანტურაში, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანი წავიკითხე. მანამდე საქართველოზე თითქმის არაფერი ვიცოდი. მხოლოდ გაგონილი მქონდა, რომ კავკასიაში არის ძალიან საინტერესო ისტორიისა და დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანა, რომ საქართველოს მთებში ხალხი დიდად დღეგრძელია და რომ სტალინი ქართველი იყო. რუსთაველმა იმდენად მომხიბლა და დამაინტერესა, რომ გადავწყვიტე საქართველოს ისტორია შემესწავლა. სულ მალე უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციისთვის მოვამზადე პატარა თემა, რომელიც ეხებოდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს, მის სოციალურ საკითხებს, ლიტერატურას, „თერგდალეულთა" შემოქმედებას. ქართული ენის სწავლა თქვენთვის კარგად ნაცნობ დავიდ ლანგთან დავიწყე.

1978 წელს პირველად ჩამოვედი თბილისში და ერთი წელიწადი აქ დავყავი. უნივერსიტეტში ჩემი ქართული ენის მასწავლებელი იყო ლეილა გეგუჩაძე, რომელისაც დიდად მადლიერი ვარ.

იმავე წელს ქართველების სიძე გავხდი — ცოლად შევირთე მაშინ კონსერვატორიის სტუდენტი მარინე მახარობლიშვილი. ჩვენი ვაჟი ლორენსი მალე ხუთი წლის გახდება.

ვცხოვრობთ ოქსფორდში. მარინემ ლონდონის კონსერვატორია და ასპირანტურა დაამთავრა. ახლა მუსიკალურ სკოლაში ასწავლის და ხშირად თავის პარტნიორთან, იაპონელ მევიოლინესთან ერთად კონცერტებს მართავს. მე ოქსფორდის უნივერსიტეტში ვმუშაობ, ისევ საქართველოს ისტორიას ვიკვლევ. შარშან, ოქტომბერში, სადოქტორო დისერტაცია დავიცავი.

— თქვენ დავიდ ლანგი ახსენეთ. საქართველოში მას მართლა კარგად იცნობენ — დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ენისა და კულტურის პროპაგანდის საქმეში. ინგლისში სხვა ქართველოლოგებიც ხომ მუშაობენ...

— ჰალეს უნივერსიტეტში ქართულ ენას ჯორჯ ჰიუეთი ასწავლის, ლონდონის უნივერსიტეტში — დონალდ რეიფილდი. მანვე თარგმნა გალაკტიონ ტაბიძე. უელსში ცხოვრობს და ძალიან ნაყოფიერად მუშაობს ქეთრინ ვივიენი — თარგმნა რუსთაველი, საბა, ახლა „ქართლის ცხოვრებაზე" მუშაობს.

სამწუხაროდ, დავიდ ლანგი შარშან პენსიაზე გავიდა და უნივერსიტეტიდან მისი წასვლისთანავე გააუქმეს კავკასიური ენებისა და ისტორიის კათედრა. ამ ამბავს ქართველოლოგების დიდი პროტესტი მოჰყვა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თქვენ გული არ დაგწყდეთ, ეს მხოლოდ ამ კათედრის ხვედრი არ არის — ასეთი ბედი ეწევა ხოლმე ყველა იმ განყოფილებას, რომელსაც ნაკლებად ეტანება სტუდენტობა. გასაგებიც არის — ახალგაზრდობა, როგორც ყველგან, ინგლისშიც პრაქტიკოსია, მომავალ პროფესიად ირჩევს იმ ენას და ლიტერატურას, რომელიც გამოადგება, სამსახურს აშოვნინებს.

— თქვენ უკვე კარგად იცნობთ საქართველოს ისტორიას, ლიტერატურას, ალბათ, თანამედროვე მწერლობასაც. გაცნობა კი ამ ერის საუნჯით — „ვეფხისტყაოსნით" დაიწყეთ. მომდევნო შთაბეჭდილებებმა პირველი ხომ არ გაგიფერმკრთალათ?

— რას ბრძანებთ, პირიქით. გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, რუსთაველის ღვიძლი მემკვიდრენი არიან. რაც შეეხება ილია ჭავჭავაძეს, უბრალოდ, გული მწყდება, რომ ამ ბუმბერაზ მწერალს ევროპა თითქმის არ იცნობს. მე მას მსოფლიოს რომელიც გნებავთ დიდი მწერლის გვერდით ვაყენებ. ამ სიტყვებში ყველაფერს ვგულისხმობ — ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც და იმ, ერთი შეხედვით, პროზაულ საქმიანობასაც, მთელი სიცოცხლის მანძილზე რომ ეწეოდა. თითქმის არ მაგონდება მეორე დიდი მწერალი, ამდენი რამ რომ გაეკეთებინოს თავისი ერისთვის.

— რაკი ასე მოგწონთ, ალბათ თარგმნაზეც ფიქრობთ...

— ექვსი წლის წინათ მეტისმეტად თამამი ვიყავი. პირველად რომ ჩამოვედი და ქართული ვისწავლე, თანამედროვე მწერლობის კითხვა დავიწყე. ჩემთვის საოცრად ახლობელი და გასაგები აღმოჩნდა გურამ რჩეულიშვილის პროზა და ხათუნა ჩხეიძესთან ერთად მაშინვე დავიწყე თარგმნა. რა მაგის პასუხია და, ის ოცდახუთამდე მოთხრობა დღემდე არ დაბეჭდილა. ახლა ქართულ ზღაპრებს ვთარგმნი, მერე კი ილიას უნდა ჩავუჯდე.

— არ ვიცი, ინგლისში როგორ არის, მაგრამ საქართველოში ჩამოსულ უცხოელ სტუმარს ეკითხებიან, რა მოგწონთ ჩვენს მხარეშიო. არც ორიგინალობას ვიჩემებ, არც ვისმე ვუპირისპირდები. მინდა გკითხოთ: რა არ მოგწონთ საქართველოში?

— გინდათ ქართველი მტრები გამიჩინოთ?

— თქვენი და ჩემი საყვარელი მწერალი ბრძანებს, მოყვარეს პირში უძრახეო. საქართველოსთან დამოყვრება თქვენი ნება იყო...

— მიხარია, რომ ჩემი ბედი მთლიანად საქართველოს დავუკავშირე. ახლა აქ სტუმარი აღარც მქვია და ბევრ რამეს, პირველ ხანად რომ მიკვირდა და მეუცხოვებოდა, შევეჩვიე. ერთი რამ, რაც დღემდე უცნაური და მოულოდნელია ჩემთვის, ეს თქვენი უშუალობა, სითბო, გულისხმიერება, სტუმართმოყვარეობა და ხელგაშლილობაა. ვხედავ, ჩემი სიტყვები არ გაგიკვირდებათ — თქვენ ხომ გულგრილობით, ფლეგმატურობით განთქმული ინგლისელი ხალხის წარმომადგენელს უსმენთ. მოხიბლული ვარ ქართული ოჯახური სითბოთი. ასეთი რამ ევროპაში მხოლოდ იტალიელებს და ესპანელებს ახასიათებთ. ქართული ოჯახი მკვიდრია, ძლიერი, საფუძვლიანი. აქ ვერ ნახავ მარტოხელა, მიუსაფარ მოხუცს. ხშირად სამი თაობა ერთად ცხოვრობს. ყველა ბებიას და პაპას ფუნქცია აქვს. ჩვენ კი ძალიან ადრე ვიქსაქსებით — მშობლები ცალკე ცხოვრობენ, შვილები — ცალკე, შვილიშვილები — კიდევ ცალკე. ჩვენი ხანდაზმულები ხშირად დეპრესიაში ვარდებიან...

ქართველები გამორჩეულად ნიჭიერი ხალხია. მერწმუნეთ, არ ვაზვიადებ. ეს ნიჭი ჩანს მის საკვირველ სიმღერასა და ცეკვაში, ლიტერატურაში, თეატრში, რაუნდჰაუზში მე მინახავს თქვენი რუსთაველის თეატრი და მისი განუმეორებელი რამაზ ჩხიკვაძე, არ გამიცდენია ინგლისში ჩამოსული სუხიშვილის ანსამბლის არც ერთი კონცერტი (გული დამწყდა, ბატონ ილიკოს გარდაცვალების ამბავი რომ შევიტყვე). მაქვს უამრავი ქართული ფირფიტა და სიამოვნებით ვუსმენ საოცრად მელანქოლიურ ჩონგურს, ფანდურს, სალამურს...

მუსიკა... შესაძლოა ქართველების ნიჭი ყველაზე მეტად სწორედ აქ მჟღავნდებოდეს. მიდიხარ ინგლისის ქუჩებში და ერთი სახლიდანაც ვერ გაიგონებ მუსიკის ხმას. აქ, თქვენთან კი თითქოს ყველაფერი მღერის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა მუსიკის სიყვარული — ასეთი სიმღერების პატრონი ერი სხვანაირი ვერც იქნება!

მაპატიეთ, შეკითხვას გადავუხვიე, უფრო სწორად, არ გიპასუხეთ, მაგრამ... ძალიან მინდოდა ეს ყველაფერი მეთქვა. რაც მთავარია, მჯერა, რომ ჩემს გულწრფელობაში ეჭვი არ გეპარებათ.

საქართველოში ყოველთვის მომიხარია.

საუბარი ჩაიწერა
ნ. ჯოხარიძემ.

უკეთესი კაცს კულისკვლი
„კომუნისტის" მკითხველებს!
სტივენ ჯონსი.

სიმღერა ცხოვრებასა და შენებაში გვეხმარება...

შეჯამდა თვითმოქმედი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისათვის საესტრადო სიმღერების შესაქმნელად გამიზნული კონკურსი, რომელიც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მოაწყო. დამთავრებული კონკურსი პრაქტიკულად უპასუხებს „რესპუბლიკაში საესტრადო ხელოვნების შემდგომი განვითარების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას.

კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, კომპოზიტორმა ო. გორდელმა გამოაცხადა გამარჯვებულნი.

პირველი, მეორე და მესამე პრემიებით დაჯილდოვდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი გიორგი ცაბაძე სიმღერებისათვის: „მთელი წელია" (ლექსი დ. ბედიანიძისა), „იმერიალე, ოცნებავ ჩემო" (ლექსი მ. ფოცხიშვილისა) და „ჩიტი ცაშია ლამაზი" (ლექსი დ. ბედიანიძისა).

მეორე პრემია მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტს, კომპოზიტორ შოთა მილორავას ხუტა ბერულავას ლექსზე შექმნილი სიმღერისათვის „დედასაქართველოვ".

მესამე პრემიით აღინიშნა რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ შალვა დავიდოვის სიმღერა „ორ საუკუნეს რეკს ზარი მენი" (ლექსი დ. ჭანკოტაძისა) და ახალგაზრდა კომპოზიტორის რუბენ კაჟილოტის სიმღერა „გიცდი" (ლექსი კ. კვეთიძისა).

(საქინფორმი).

ცხინვალელთა სტუმრები

ცხინვალში იყო საქართველოში მაიაკოვსკის დღეების მონაწილე ახალგაზრდა შემოქმედთა ჯგუფი პოეტ მზია ხეთაგურის მეთაურობით. გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციაში გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტები მიესალმნენ სირიელ პოეტსა და ლიტერატურათმცოდნეს აიმან აბუ შაარს, რუს პოეტს ტატიანა ბრიქსინას, ლიტერატურათმცოდნესა და დრამატურგს ვლადიმერ კოსმაჩევსკის...

აიმან აბუ შაარი თვითვე თხზავს მუსიკას საკუთარ ლექსებზე, მან დიდი ექსტაზით წაიკითხა ლექსი „მუსიკოსი", რომლის თარგმანი მზია ხეთაგურმა გააცნო დამსწრეთ. შემდეგ ტატიანა ბრიქსინამ წაიკითხა საკუთარი ლექსები „გამოშვიდობება საქართველოსთან" და „მაიაკოვსკის აკვანი", აგრეთვე ქართველ პოეტთა ლექსების მისეული თარგმანები. ახალგაზრდა დრამატურგმა ვლადიმერ კოსმაჩევსკიმ ილაპარაკა პოეზიისა და საერთოდ ლიტერატურის დანიშნულებაზე, ქართველ მწერლებთან შემოქმედებითს ურთიერთობაზე.

— ღრმავდება ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა ქართველ ახალგაზრდა მწერლებთან. მაიაკოვსკის დღეებმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა მათთან. ჩვენ ვთარგმნით ერთმანეთის ლექსებს, პიესებს. არაბი პოეტიც არ რჩება ვალში. იგი გატაცებით მუშაობს საბჭოთა პოეზიის სამტომეულის გამოსაცემად, რომლის პირველი ტომი უკვე გამოვიდა. სამტომეულში ქართული პოეზიაც უხვად იქნება წარმოდგენილი.

პოეზია აახლოებს ხალხებს... ეს შეხვედრაც ამის დასტური იყო. (საკ. კორ).

შემთხვევა

მარჯვედ მოიქცა

საგანგებო შემთხვევის ადგილას ხალხი უცებ მოიყრის ხოლმე თავს. ასე იყო იმ დღესაც, 4 აგვისტოს, როდესაც თაკარა მზეში კუს ტბისაკენ მიმავალი ხალხით სავსე საბაგირო ვაგონი მოულოდნელად გაჩერდა — დენი გამოირთო. ვაგონში უფროსებთან ერთად იყვნენ ბავშვები, აგრეთვე უცხოელი ტურისტები.

გადიოდა დრო. ვაგონში მყოფნი, განსაკუთრებით კი ბავშვები, უზომოდ შეწუხდნენ. ცალკე სიცხე, ცალკე — წყურვილი! იმ სიმაღლეზე კი — მიწიდან ორმოციოდე მეტრზე — წყლის მიმწოდებელი ვინ იყო?! ასეთ დროს იმარჯვა ახალგაზრდამ, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, ლენტეხის რაიონის სოფელ კახურის მკვიდრი, სპორტის ოსტატი, მოჭიდავე თამაზ ლიპარტელიანი ყოფილა. იგი ჰაერში გადმოკიდებულ საბაგირო ვაგონს მაშველ თოკს ჩამოჰყვა, ძნელად, მაგრამ მაინც დაეშვა მიწაზე, და იმავე თოკით ვაგონში დარჩენილ მგზავრებს წყალი მიაწოდა.

ახალგაზრდამ მოხერხებულობით, სიმარჯვით, თავგამოდებით პარკში შემთხვევის ადგილას შეკრებილი ხალხის გულწრფელი მადლობა დაიმსახურა.

ო. აბაშმაძე.

ერთგული თანამგზავრი — ფოტოკამერა

...სადაც უნდა იყოს ეს სიმპათიური ახალგაზრდა — მოგზაურობაში თუ შინ, მუდამ თან აქვს საყვარელი „ზენიტი". თავის გატაცებას — ფოტოგრაფიას უძღვნის მთელ თავისუფალ დროს გია ჭაველიძე, კომპოზიციური სისტემებისა და საფარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ყმაწვილს ამ შესანიშნავი ხელოვნების ჩაწვდომაში დაეხმარა თბილისელი ფოტოგრაფი იური მეჩიტოვი. შემდეგ მათ ბევრჯერ იმოგზაურეს ერთად საქართველოში. ფოტოგრაფიულ ძიებას საგრძნობი შედეგები მოჰქონდა. უფრო მტკიცდებოდა დამწყები ფოტომოყვარულის ხელი, უფრო მახვილი ხდებოდა თვალი, იხვეწებოდა ოსტატობა.

დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ახლახან გამართულ გამოფენაზე იყო გია ჭაველიძის ფოტოსურათებიც. დამთვალიერებლებს შემოსცქეროდნენ ჭაღარათმიანი ვეტერანები, დედაქალაქის ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც მამებისაგან და პაპებისაგან მიიღეს გმირობის ესტაფეტა.

და აი პირველი პერსონალური ვერნისაჟი, რომელიც ამ დღეებში გაიხსნა გამომცემლობა „მერნის" საგამოფენო დარბაზში.

— ძალიან მიყვარს ჩვენი თბილისი, — თქვა გიამ. — ჩვენ, ახალგაზრდა ფოტომოყვარულებმა გადავწყვიტეთ ვაჩვენოთ მისი ერთ-ერთი საუკეთესო მაგისტრალი — რუსთაველის პროსპექტი. ფოტოგამოფენა, რომელსაც დაერქმევა „რესპუბლიკის მთავარი ქუჩა", ჩვენ გვინდა გავხსნათ პირდაპირ პროსპექტის ფართო ტროტუარებზე, რათა ყველა თბილისელმა, დედაქალაქის სტუმარმა შეძლოს კიდევ ერთხელ დაინახოს ქალაქის განუმეორებელი სილამაზე.

...დღეს გია ჭაველიძე მორიგ მივლინებაში არის. ესე იგი, საქმიანი ანგარიშის გარდა იქნება ახალი ფოტოსურათებიც.

გ. დიორტკინი.

სურათებზე: გია ჭაველიძე ძველ თბილისში გადაღების დროს; პერსონალურ ფოტოგამოფენაზე, რომელიც გახსნილია თბილისში გამომცემლობა „მერნის" დარბაზში.

შ. აივაზოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პიონერული ზაფხული

გაცილებით მეტი მზრუნველობა გვმართებს

„კომუნისტის" რეიდი

— **დიახ,** სამზარეულოში მაცივარი არ მუშაობს. ეს ფაქტი თქვენი წინამორბედი სხვადასხვა კომისიების აქტებშიც ასახულა. თქვენ კი რიგით მეთორმეტე კომისია ხართ.

ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სურამის პიონერთა ბანაკის „აისის" უფროსთან თ. გვიმრაძესთან და რიგით „მეთორმეტე კომისიაც" საქმეს შეუდგა.

სურამ-ქვიშხეთის გეოგრაფიული არეალი საუცხოო კლიმატით გამოირჩევა. მზე, მთები, მდინარეები, ტყის მასივები ბავშვთა დასვენებისა და ჯანმრთელობის გაჯანსაღებისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნიან.

მოზარდი თაობის ორგანიზებულად დასვენებისათვის სახელმწიფო უამრავ თანხას ხარჯავს. პიონერული ბანაკი ჩვენი, საბჭოური თანაცხოვრების შესანიშნავი სკოლაა, სადაც პატარები სწავლობენ მეგობრობას, გამტანობას, თანადგომას. ბევრი პირველად აქ შეიგრძნობს ბუნების სიდიადეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყმაწვილს პიონერული ბანაკიდან შეიძლება უსიამოვნო მოგონებაც გაჰყვეს. „აისის" ნორჩ დამსვენებელთ, ალბათ, კიდევაც უკვირთ, თუ რატომ აცვია ჭუჭყიანი ხალათი მათ მზარეულს გ. დავითურს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკ „მშენებელში" კი, როგორც ჩანს, შეჩვეული არიან მზარეულები — მამაშვილი ო. და მ. დევიძეები სამზარეულოში წვერგაბურძგნული რომ მუშაობენ ხშირად.

სისუფთავით ვერც სასურსათო პროდუქტების დასამუშავებელი ოთახი და საველე კარავში მოწყობილი რაზმეულის პიონერული შტაბი გამოირჩევა. შემოწმებისას ბანაკის მეკუჭნავე არც ამ ბანაკში დაგვხვდა ადგილზე და სამზარეულოში შენახული სურსათი რომ აგვეწონა, სასწორი მეზობელი ბანაკიდან მოარბენინეს.

მშენებლებს მეორე პიონერთა ბანაკი ტამისკარში აქვთ. აქ მწვანილისა და კარტოფილის დასამუშავებელ სათავსში უსუფთაობაა, მინები — ჩამსხვრეული, იატაკი — მოსარეცხი, გაზქურებზე ნაგვით სავსე ყუთი შემოდგათ. მაცივარი არც აქ მუშაობს. სადილისთვის გამოტანილი პური მაგიდაზე ეყარა და ზედ ერთადერთი მზარეულის ხალათი გადაეფარებინათ.

უსუფთაობა იყო სამზარეულოშიც, აქ მომუშავეთ სანიტარიული წიგნაკები არ აღმოაჩნდათ.

უფრო მეტად გულსატკენი კი წინ იყო: შემოწმების დროს სამზარეულოში ასობით ბავშვისათვის ამზადებდნენ ხორციან კერძებს, როგორც ამას მენიუც ადასტურებდა, ხორცი და კარაქი კი ქვაბში ჯერ არ ჩაეყარათ, რადგან საწყობის გამგე სადღაც წასულიყო, პროდუქტებით სამზარეულოს მომარაგება კი დავიწყებოდა (ნეტა, ამაზე მნიშვნელოვანი რა ახსოვდა?) საწყობის გამგე დაახლოებით დღის ორ საათზე დაბრუნდა. მხოლოდ მერე დაიწყეს ხორცის საწყობიდან გამოტანა და დამუშავება. საბოლოოდ ბავშვებმა ორი საათის დაგვიანებით, დღის ოთხ საათზე, ისადილეს.

ადგილმრეწველობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა სურამის პიონერთა ბანაკს „კოსმოსი" ჰქვია. გაოცდებით, რა მონდომებით ზრდიან აქ ხელოვნურად თანამშრომელთა რაოდენობას, რომ მერე სასურსათო პროდუქტები უკანონოდ ჩამოწერონ.

30 ივნისს პირადი განცხადებით ბანაკიდან ხუთი თანამშრომელი წავიდა, 7 ივლისამდე კი მათთვის კვლავ მზადდებოდა საუზმეც, სადილიც და ვახშამიც. ერთ კვირაში „მკვდარმა სულებმა" 47 მანეთის სურსათი „აითვისეს".

სამზარეულოში შენახულ დიდძალ სხვადასხვა პროდუქტზე არ აღმოჩნდა შემოსავალში მათი გატარების დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი.

რუსთაველი მეტალურგების ბავშვებიც სურამში ისვენებენ (პიონერთა ბანაკი „ფოლადი"), მებუფეტე ო. სულაძე კი ვერ ისვენებს, ცქმუტავს, ნერვიულობს. 380 ბავშვის კარაქის ულუფის აწონისას აღმოჩნდა, რომ ყოველი ათი ბავშვის ულუფას 40 გრამი კარაქი აკლდა, ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკ „მეგობრობაში" კი 20 გრამის მაგივრად ულუფა 17 გრამი გამოვიდა (ბანაკში, სხვათა შორის, 260 ბავშვი ისვენებს).

ერთი ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს თუ მივმართავთ, ჩვენი მთავარი სათქმელი ასე გამოიხატება: ბავშვებს ისევე უნდა ვემსახურებოდეთ, როგორც დიდებს, ოღონდ უფრო უკეთესად; მათთან ურთიერთობისას განსაკუთრებული ყურადღება და სიფაქიზე გვმართებს, თუმცა, რა სიფაქიზეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა პიონერთა ბანაკების სამზარეულოების პერსონალს ხშირად თავად სჭირდება მოვლა და პატრონობა. ეს ითქმის, კერძოდ, ბანაკების „კოსმოსისა" და „მზიურის" მზარეულებზე ვ. ხაჩიძესა და ლ. ბლიაძეზე.

სურამისა და ქვიშხეთის მეტწილ პიონერთა ბანაკებში უხეშად ირღვევა პატარების მომსახურების, მათი დასვენების, პიონერული ცხოვრების, სწავლისა და აღზრდის ნორმები.

ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს თავიდანვე შეურიგებლად რომ ეკიდებოდნენ, მაშინ კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ქვიშხეთის პიონერთა ბანაკ „მზიანეთში" სადავიდარაბოდ და სავაგლახოდ არ გაუხდებოდათ საქმე; აქ მთელი თვე იმყოფებოდა ვინმე დ. ასლანიშვილი, რომელიც ბრძანებით (ბანაკის დირექტორი გ. ჩოგოვაძე) არც სადმე იყო გაფორმებული და არც არავის უკითხავს მისთვის — ვინ იყო ან რად მუშაობდა. ბოლოს, ამ კაცმა ყოვლად წარმოუდგენელი, აღმაშფოთებელი საქციელი ჩაიდინა...

პიონერთა ბანაკში ჩვენი შვილები ისვენებენ. ისე უნდა წარემართოთ მათი შიდასაბანაკო პიონერული ცხოვრება, მაღალი იდეალებისადმი ერთგულებით აღზრდის პროცესი, რომ მათთან ერთად ჩვენც კმაყოფილებას განვიცდიდეთ.

რეიდის მონაწილენი:

თ. ზათირიშვილი, ხაშურის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორი; **მ. ცენგერაშვილი,** კომკავშირის ხაშურის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე; **ბ. ბალათური,** საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს კონტროლიორ-რევიზორი ხაშურის რაიონში; **ლ. ცხოვრებაშვილი,** ხაშურის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი; **მ. ლომიძე,** რკინიგზის სანეპიდსადგურის ექიმის თანაშემწე; **გ. ჭაფიანიძე,** ხაშურის რაიალმასკომის საფინანსო განყოფილების ეკონომისტი; **უ. ციცქიშვილი,** ქალაქის სანეპიდსადგურის კვების ჰიგიენის ფერშალი; **გ. ვაშაკიძე,** გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს!

ლოთობის მსხვერპლი

გვირაბგამყვანობა საპატიო და ვაჟკაცური პროფესიაა. ქვაისის მაღაროთსამმართველოშიც ამ სპეციალისტებს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. ვლადიმერ ილიას ძე კულაგინსა და სერგი პეტრეს ძე სტეფანოვს ამიტომ შეხვდნენ სიხარულით კვაისში. ისინი თავიანთი საქმის კარგი მცოდნეები იყვნენ. მაღაროთსამმართველოს ხელმძღვანელობამ ერთი სპეციალობის მუშებს ერთი ბინა მისცა. წლების მანძილზე შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. აქ პატივს სცემდნენ მათ. ვლადიმერი და სერგი ტყუპის ცალებივით ერთად დადიოდნენ კინოშიც, მაღაროშიც, სასადილოშიც.

ენერგიული შრომის საფასურსაც საკმაოდ იღებდნენ და პირველ ხანებში ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ მერე არყის სმას მიჰყვეს ხელი, რაც მალე ჩვევად გადაექცათ, როცა ქუჩაში მათ მთვრალებს ხედავდნენ, სამწუხაროდ, ეს არავის აშფოთებდა.

ერთ დღეს მეგობრები საკუთარ ბინაში გვარიანად გამოთვრნენ, შემდეგ იქვე ერთმანეთს რაღაცაზე აუხირდნენ, გინებიდან ჩხუბზე გადავიდნენ, და მოხდა უბედურება: თავში ძლიერი დარტყმით ვლადიმერ კულაგინმა სერგი სტეფანოვი სიცოცხლეს გამოასალმა.

ახლა თავში იცემს ვლადიმერი, თუმცა რაღას უშველის. იგი საკადრისად დაისჯება, მაგრამ რა ეშველება ლოთობას შეწირულ სიცოცხლეს? დამნაშავე მარტო იგი როდია, დამნაშავეა ყველა, ვინც მათ ლოთობას გულცივად შორიდან შეჰყურებდა, დამნაშავეა კოლექტივი, სადაც მოისუსტებს დისციპლინა, აღმზრდელობითი მუშაობა. ალკოჰოლი და მუშაობა შეუთავსებელია ერთმანეთთან. ასეთი ამაზრზენი შემთხვევები და ლოთობის ფაქტები საერთოდ მკაცრი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ყაბახი

კეთილი ნების ასპარეზობა

სსრ კავშირის სპორტკომიტეტს, სსრ კავშირის სახტელერადიოს, ამერიკის სხვადასხვა სახეობათა სპორტის ფედერაციებსა და ამერიკის ტელეკომპანია „ტერნერ ბროდკასტინგ სისტემს" შორის მიღწეულია შეთანხმება 1986 წლის ივლისში მოსკოვსა და ტალინში, ხოლო 1990 წელს ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე ქალაქში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ათლეტთა დიდი საერთაშორისო ტურნირების მოწყობის შესახებ, რომლებშიც მოიწვევენ სხვა ქვეყნების უძლიერეს სპორტსმენებსაც. ეს იქნება შეჯიბრება სპორტის 14-15 სახეობაში. ამ ასპარეზობას უწოდეს „კეთილი ნების ასპარეზობა".

6 აგვისტოს კავშირის თანამგზავრის მეოხებით გაიდო „სატელევიზიო ხიდი „მოსკოვი — ნიუ-იორკი": გაიმართა მომავალი შეჯიბრებათა ხელშეკრულების ხელმოწერისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. მოსკოვმა და ნიუ-იორკმა ერთმანეთს წარუდგინეს პრესკონფერენციის მონაწილენი — თვალსაჩინო სპორტული მოღვაწეები, მწვრთნელები, ორი ქვეყნის გამოჩენილი სპორტსმენები. ცნობილ ჩემპიონთა და რეკორდსმენთა შორის იყვნენ თ. ბიკოვა, დ. ბილოზერჩევი, ი. ვარდანიანი, ა. ბელოგლაზოვი, ა. საბონისი (მოსკოვში), გ. ლუგანისი, ს. ლუნდკვისტი, რ. გრინსი, ე. ორტერი, კ. და პ. კარაზესები (ნიუ-იორკში).

უჩვენეს სსრ კავშირის სპორტული ნაგებობანი, სადაც ასპარეზობა გაიმართება. პრესკონფერენციის მონაწილენი „ოკეანის გაღმა-გამოღმა" ერთმანეთს უსვამდნენ შეკითხვებს და უპასუხებდნენ. მათ ილაპარაკეს თავიანთ პროგნოზებზე, გეგმებზე, ურთიერთგაგების მიღწევაში სპორტული კონტაქტების როლზე, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის ურთიერთობის განვითარების დიდ მნიშვნელობაზე. (საკდესი).

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. საფრანგეთის ქალაქ ბლუაში თბილისელმა ლეილა მესხმა მოზარდ ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე ერთეულთა თანრიგში ვერცხლის მედალი რომ მოიპოვა, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. დავსძენთ იმასაც, რომ 16 წლამდე ჭაბუკ ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონის წოდების წყვილთა თანრიგში უფელ ანდრია ჩერკასოვთან ერთად დაეუფლა თბილისელი დავით კაჭარავა.

ფეხბურთი. გუშინ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 2:0. ბურთები გაიტანეს პროტასოვმა და ჩერენკოვმა.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის „ბ" ჯგუფში მოასპარეზე ლანჩხუთის „გურიამ" მორიგი კალენდარული მატჩი გამართა ზაპოროჟიეს „მეტალურგთან". შეხვედრა, რომელიც ლანჩხუთში მოეწყო, „გურიამ" მოიგო ანგარიშით 3:1.

ბულგარეთის ქალაქ ვარნაში დამთავრებულ ფეხბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილე თბილისის „დინამომ" მეორე ადგილი დაიკავა. დინამოელებმა მხოლოდ ფინალურ მატჩში დათმეს პოზიციები. ამჯერად მათი მეტოქე იყო იუგოსლავიის „რიეკა". იუგოსლავებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 და პირველ ადგილს დაეუფლნენ. მესამე ადგილზე გამოვიდა ვარნის „სპარტაკი", რომელმაც დაამარცხა პლოვდივის „ლოკომოტივი" — 8:0.

წყალჯომარდობა. სოფიაში გრძელდება ევროპის ჩემპიონატები ცურვაში, წყალბურთში და წყალხტომაში. მოცურავეთა შეჯიბრების პირველ დღეს ქალთა შორის ოქროს მედლები მოიპოვეს ჰაიკე ფრიდრიხმა (გდრ; 100 მ თავისუფალი სტილით — 55,71), კატლეენ ნორდმა (გდრ; 400 მ კომპლექსური — 4.47,08), გდრ-ის ნაკრებმა (4X200 მ ესტაფეტა — 8.03,82). ვაჟთა შორის უძლიერესნი იყვნენ მიხაელ გროსი (გფრ; 200 მ თავისუფალი სტილით — 1.47,95), ანდრიან მურჰაუზი (ინგლისი; 100 მ ბრასით — 1.02,99). საბჭოთა სპორტსმენი დიმიტრი ვოლკოვი 100 მ ბრასით ცურვაში მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდა — 1.03,59. წყალბურთელთა ტურნირის მესამე დღეს ასეთი შედეგები აღინიშნა: სსრ კავშირი-ესპანეთი — 14:7, გფრ-იუგოსლავია — 6:7, უნგრეთი-საბერძნეთი — 8:6, იტალია-ჰოლანდია — 6:5. ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში საწყის ეტაპზე დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენი ჟანა ცირულნიკოვა — 509,79 ქულა და ჩეხოსლოვაკიელი ჰაიდემარი გრეცკა — 466,08.

ცურვა. ქალაქ მიშნ-ვიეხოში (კალიფორნიის შტატი) მიმდინარე აშშ-ს ჩემპიონატზე 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში ზედიზედ ორჯერ დაამყარა მსოფლიო რეკორდი მეტ ბიონდიმ: წინასწარ გაცურვაში — 49,24 წამი, ფინალში კი 48,95. ადრინდელი მიღწევა ეკუთვნოდა როუდი გეინსს (აშშ) და იგი უდრიდა 49,36 წამს.

ჩვენს ტელეეკრანზე

მოსკოვი

8 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — ცხოველთა სამყაროში. 10.35 — „მხიარული სტარტები". 11.20 — მხატვრული ტელეფილმი „დოკუმენტი „რ". I სერია. 12.35 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.40 — „გაზაფხული მთებში". 17.05 — ახალი ამბები. 17.10 — რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის 80 წლისთავის გამო. შენი ლენინური ბიბლიოთეკა. 17.40 — ფილმი — ბავშვებს. 18.45 — ვალენტინ ლევაშოვის სიმღერები. 19.15 — აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი. პრობლემები და პერსპექტივები. I გადაცემა. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 20.45 — მხატვრული ტელეფილმი „დოკუმენტი „რ". II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — „მწერალი და ცხოვრება". 23.35 — დღეს მსოფლიოში. 23.50 — ევროპის ჩემპიონატი. წყალხტომა. ცურვა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ნორჩთა შემოქმედება. 9.45 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.15 — მხატვრული ტელეფილმი „იგო ძმა". II სერია. 11.20 — ი. ილფი და ე. პეტროვი. ცხოვრება და შემოქმედება. 12.15 — მულტფილმი. 12.35 — მხატვრული ტელეფილმი „შავი ზღვის ტალღები". III სერია. 13.40 — ესპანური ენა. 14.10 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 14.55 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ტირანი". 16.15 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი ალკოჰოლიზმის მავნეობის შესახებ. 19.30 — საშადრაკო სკოლა. 20.00 — მეტი კარგი საქონელი. 20.30 — რიტმული ტანვარჯიში. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო". 21.20 — მსოფლიო ჩემპიონატი მოტოკროსში. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „შეჭმენ ბრძოლა". 23.50 — ახალი ამბები.

თბილისი

8 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — მოამბე. 10.05 — ქართული საესტრადო მელოდიები (განმეორებით). 10.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიდი მზის მხარეში". 11.20 — არდადეგები, არდადეგები... სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ასი დღე ბავშვობის შემდეგ". 13.00 და 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი ხე". 16.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცეცხლის ძირას". 17.10 — 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუციის 80 წლისთავისათვის. „შენი ლენინური ბიბლიოთეკა". (მ) 17.40 — არდადეგები, არდადეგები..., მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.15 — განცხადებები. 18.20 — ხალხური შემოქმედება — „შუქი სულისა". 18.35 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — მირზაანი დღეს, ხვალ. 19.15 — აგრარულ-სამრეწველო კომპლექსი — პრობლემები, პერსპექტივები (მ). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი". 20.45 — ახალგაზრდობისათვის — „მშობლიური ხეობები". ფშავის ხეობა. 21.10 — მულტფილმი. 21.20 — ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „სერიოზული საუბარი". 23.55 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფოლადის სახალხო კომისარი". 17.20 — მხატვრული ფილმი „პატარა ალექსანდრე".

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქინფორმის საკუთარი კორესპონდენტი რუსთავის ზონაში

გიორგი ვლადიმერის ძე ძინძიბაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08825 საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14